



გამჭვირვალობის ანგარიში

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო

2025 წლის 30 ივნისს
დასრულებული წლისთვის



შინაარსი

04

ხელმძღვანელობის
გზავნილი

10

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

16

კულტურა და
ღირებულებები

26

ჩვენი
თანამშრომლები

30

ჩვენი მიდგომა

35

მონიტორინგი

39

PwC ქსელი

41

სამართლებრივი
და
მმართველობითი
სტრუქტურა

43

პარტნიორების
ანაზღაურება

44

ფინანსური
ინფორმაცია

45

აუდირებული
სდკ-ების
ჩამონათვალი

47

PwC
ქსელის ფირმები

- 1 ხელმძღვანელობის გზავნილი
- 2 ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა
- 3 კულტურა და ღირებულებები
- 4 ჩვენი თანამშრომლები
- 5 ჩვენი მიდგომა
- 6 მონიტორინგი
- 7 PwC ქსელი
- 8 სამართლებრივი და
მმართველობითი სტრუქტურა

სარჩევი



ხელმძღვანელობის გზავნილი

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ხელმძღვანელობის გზავნილი

წარმოგიდგენთ 2025 წლის გამჭვირვალობის ანგარიშს



PwC-ში ჩვენი მიზანია, საზოგადოებაში ნდობის განმტკიცება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა. ჩვენ წარმოადგენთ 136 ქვეყანაში მოქმედ ფირმების ქსელს 364 000-ზე მეტი თანამშრომლით, რომლებიც კეთილსინდისიერად უზრუნველყოფენ ხარისხიან მომსახურებას მარწმუნებელი, საკონსულტაციო და საგადასახადო მიმართულებით. ჩვენთვის პრიორიტეტულია ხარისხისა და სრულყოფილების ძლიერი კულტურის შექმნა და დამკვიდრება.

PwC-ის მიდგომა ნდობის განმტკიცებისადმი შექმნილია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მზარდი მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. ის აერთიანებს აუდიტის, საგადასახადო და შესაბამისობის საქმიანობის გამოცდილებასა და კომპეტენციას სპეციალისტების შესაძლებლობების გაფართოებისკენ სწრაფვასთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება, მონაცემთა კონფიდენციალურობა, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები და ხელოვნური ინტელექტი. ჩვენი მიდგომა აღიარებს, როგორც ხარისხის მნიშვნელობას, ასევე იმას, რომ ანგარიშგება და შესაბამისობა წარმოადგენს მხოლოდ ერთ რგოლს ჯაჭვში, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ კულტურას, აღმასრულებელ აზროვნებას, ჰარმონიზებულ სტანდარტებს, სერტიფიცირებულ პროფესიონალებს, მკაცრ კონტროლს, მორგებულ ტექნოლოგიებსა და შესაბამის მმართველობას. საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით ჩვენ ვალდებული ვართ ვიმუშაოთ თანმიმდევრულად ხარისხიანად და ვიყოთ გამჭვირვალე ჩვენი ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით.

ნდობის ჩამოყალიბების მსგავსად, მდგრადი შედეგების მიღწევა მოითხოვს კომპლექსურ მუშაობას. ტრანსფორმაციისათვის ტრადიციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომის ნაცვლად, PwC ყურადღებას ამახვილებს იმ შედეგებზე, რომელთა მიღწევაც არის ჩვენი სამუშაოს მიზანი. შეთანხმებული შედეგების მისაღწევად, ვახდენთ ჩვენი გამოცდილებისა და კომპეტენციის მობილიზებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა, სტრატეგია, ციფრული და „ქლაუდ“ სერვისები, ღირებულების შექმნა, ადამიანური რესურსები და ორგანიზაცია, გადასახადები, მდგრადი განვითარების ანგარიშგება, ბიზნეს გარიგებები, ბიზნესის აღდგენის სერვისები, იურიდიული და შესაბამისობის საკითხები.

გამოკითხული მარწმუნებელი მომსახურების სპეციალისტების პროცენტული მაჩვენებელი



აუდიტის ხარისხის მნიშვნელობის შესახებ თანმიმდევრული გზავნილების მიღება როგორც ადგილობრივი, ასევე ფირმის ხელმძღვანელობისგან



93%

2025

100%

2024

97%

2023

ფირმის აუდიტის ხარისხის მიზნების გააზრება

70%

2025

79%

2024

78%

2023

ხელმძღვანელობის გზავნილი

PwC საქართველოს მმართველი პარტნიორისა და მარწმუნებელი მიმართულების ხელმძღვანელის გზავნილი

ჩვენი, როგორც აუდიტორების როლია, კაპიტალის ბაზრების მამოძრავებელი ინფორმაციისადმი ნდობის განმტკიცება - მისი სიზუსტე, სანდოობა და თანმიმდევრულობა. ვინაიდან დამოუკიდებელი აუდიტის მომხმარებელთა საჭიროებები და მოლოდინები ვითარდება, ხოლო ინფორმაციის ნაკადები უფრო მეტად კომპლექსური ხდება, PwC, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, განახორციელებს თამამი ქმედებების მთელ რიგს შემდეგ სფეროებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის დამოუკიდებელი აუდიტისადმი ნდობას:

ანგარიშვალდებულება – ჩვენ შევიმუშავებთ კონკრეტულ მექანიზმებს, რომლებიც აჩვენებს, რომ აუდიტის ხარისხზე პასუხისმგებლობა პირადად ეკისრება ხელმძღვანელობას და მათი ანაზღაურება დამოკიდებული იქნება ხარისხის შედეგებზე, ხოლო ხელმძღვანელობა საჯაროდ დაადასტურებს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის მუშაობასა და ეფექტიანობას.

ხარისხი – განვახორციელებთ მთელ რიგ ინიციატივებს აუდიტის ხარისხისადმი ნდობის გასაძლიერებლად, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება თაღლითობასა და საწარმოს ფუნქციონირებადობის უნარზე, აგრეთვე, შევისწავლით აუდიტორის დასკვნის გაუმჯობესების შესაძლებლობებს უფრო მრავლისმომცველი შინაარსის საშუალებით.



გამჭვირვალობა – გავაგრძელებთ გამჭვირვალობის დონის ამაღლებას აუდიტის ხარისხის შეფასების ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით, მათ შორის ჩვენი აუდიტის ხარისხის შესრულების გაუმჯობესებას და ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ ჩვენი პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

ჩართულობა – განვახორციელებთ მთელ რიგ ინიციატივებს, რათა გავზარდოთ ჩართულობა დაინტერესებულ მხარეთა ძირითად ჯგუფებთან, მათ შორის პოტენციურ ტალანტებთან, აუდიტის კომიტეტებთან და ინვესტორებთან, მათ შორის, დროს დავუთმობთ აღრიცხვის სფეროში კარიერის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნულ ქმედებებს განვახორციელებთ ეტაპობრივად, დავიწყებთ ანგარიშვალდებულებით და ველით, რომ თითოეული მათგანი განვითარდება დროთა განმავლობაში - სტანდარტების დადგენის, მარეგულირებელი ცვლილებების და ახალი პრაქტიკის საკითხების დანერგვით.

წინამდებარე გამჭვირვალობის ანგარიში მოვამზადეთ 2025 წლის 30 ივნისით დასრულებული ფინანსური წლისთვის, ევროკავშირის 5/2014 რეგულაციის მე-13 მუხლისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.



PwC საქართველოს მმართველი პარტნიორისა და მარწმუნებელი მიმართულების ხელმძღვანელის გზავნილი

საზოგადოებისგან მიღებული უკუკავშირი ნათელია — დღეს ნდობის სერიოზული დეფიციტი გვაქვს ჩვენს საჯარო და კერძო სტრუქტურებთან მიმართებაში: მთავრობა, ბიზნესი, ბაზრები, ძირითადი მოთამაშეები, მედია და სხვები. როგორ არის ნდობის აღდგენა შესაძლებელი საზოგადოებასა და ინდივიდებზე ტექნოლოგიების მუდმივად მზარდი გავლენის გათვალისწინებით?

რადგანაც ჩვენს პროფესიაში ლიდერებს წარმოვადგენთ, სერიოზულად ვეკიდებით ჩვენს საზოგადოებრივ ვალდებულებას. აღრიცხვის პროფესია ნდობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა, დღესდღეობით, ჩვენი მარწმუნებელი მომსახურების პრაქტიკაში, ნდობა, რომელიც PwC-ის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად გვევლინება. ის ფუნდამენტურია ჩვენი ფირმის მიზნების შესრულებისთვის. ნდობის განმტკიცების ერთ-ერთ გზას კი გამჭვირვალობა წარმოადგენს.

როგორც აუდიტორები, კარგად ვაცნობიერებთ ნდობის ყველაზე მნიშვნელოვან მამოძრავებელ ფაქტორს: ჩვენი გარე აუდიტის ხარისხს. სწორედ ამიტომ, წარმოგიდგენთ ჩვენს გამჭვირვალობის ანგარიშს 2025 წლის 30 ივნისით დასრულებული ფინანსური წლისთვის. აღნიშნული ანგარიშის მიზანია შევექმნათ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ ვინარჩუნებთ ხარისხს ჩვენს აუდიტში. ანგარიში აღწერს ჩვენს პოლიტიკებს, სისტემებსა და პროცესებს ხარისხის უზრუნველსაყოფად, ძირითადი ხარისხის მონიტორინგის პროგრამებისა და მიმოხილვების შედეგებს, აგრეთვე, თუ როგორ ვქმნით ხარისხის კულტურას ფირმის ყველა დონეზე. მასში დეტალურად არის აღწერილი კომპანიები, ვისაც ჩავუტარეთ აუდიტი, ასევე, ჩვენი აუდიტორული და არა-აუდიტორული სამუშაოდან მიღებული მთლიანი შემოსავალი.



ლაშა ჯანელიძე
გენერალური დირექტორი
მმართველი პარტნიორი და მარწმუნებელი
მიმართულების ხელმძღვანელი

თბილისი, 2025 წლის 28 ნოემბერი

აუდიტის ხარისხის განსაზღვრების გაფართოება

დროთა განმავლობაში, კომერციის კომპლექსურობამ განაპირობა უფრო კომპლექსური ფინანსური აღრიცხვის მოდელის ჩამოყალიბება, რამაც, თავის მხრივ, მოითხოვა უფრო კომპლექსური აუდიტი და უნარები. გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი (ESG) საკითხები და საზოგადოების მოთხოვნები, კომპანიებისგან ასევე მოითხოვს აღნიშნული მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ ანგარიშის წარდგენას და გარე შემოწმების.

იმას თუ როგორ განვმარტავთ ჩვენ აუდიტის და შესაბამისად, აუდიტის ხარისხის განმარტებაც კვლავაც ფართოვდება. ჩვენ მივესალმებით საჯარო დისკუსიებს, რომლებიც აუდიტის ხარისხის შესახებ გამჭვირვალობის შედეგად წარმოიქმნება. გვკერა, რომ ხარისხიან აუდიტს მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს, ამიტომ, საქართველოში აუდიტის ხარისხის შესახებ დაბალანსებული წარმოდგენის შესაქმნელად, დაინტერესებული მხარეებისთვის ნათელი უნდა იყოს მიღებული ზომები.

აუდიტის ხარისხის შესახებ დისკუსიების გაგრძელება

აუდიტის საქმიანობა ჩვენი სტრატეგიისა და ბრენდისთვის ფუნდამენტურია. ვაგრძელებთ ინვესტირებას აუდიტის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაში ახალი სისტემებისა და ტექნოლოგიების, რისკების მართვის პროცესების და ჩვენი თანამშრომლებისთვის სწავლისა და განვითარების უზრუნველყოფის გზით.

ჩვენი მთავრი მიზანია, დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ ჩვენ აუდიტის ყველა ნაწილში მოვიპოვეთ გონივრული რწმუნება.

წლის მიმოხილვა

პარტნიორებისა და თანამშრომლების გამოკითხვა


95%

ჩვენი თანამშრომლების 95%-მა მონაწილეობა მიიღო თანამშრომლების გლობალურ გამოკითხვაში

78.5%

რესპონდენტთა 78.5% თვლის, რომ ისინი მოტივირებულები არიან განახორციელონ მაღალი ხარისხის აუდიტი

აუდიტის ხარისხის შიდა მიმოხილვა



ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა

მონიტორინგზე დახარჯული საათების საშუალო რაოდენობა:

46,272 საათი - ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა (CEE) რეგიონი
2,100 საათი - საქართველო

CEE და ადგილობრივი ხარისხის მართვის სისტემებზე გამოვლენილი ექვსი ხარვეზიდან ერთი სრულად გადაიჭრა და დანარჩენებზე გრძელდება მონიტორინგი

აუდიტის ტრენინგები ფინანსური წელი 25

პარტნიორებისა და თანამშრომლების ტრენინგების საშუალო საათები

29 ონლაინ	46 საკლასო	73 სულ
--------------	---------------	-----------

სულ საათების რაოდენობა
5,134

აუდიტის ტრენინგები ფინანსური წელი 24

პარტნიორებისა და თანამშრომლების ტრენინგების საშუალო საათები

27 ონლაინ	49 საკლასო	72 სულ
--------------	---------------	-----------

სულ საათების რაოდენობა
5,405

აუდიტის ხარისხის გარე მიმოხილვა

2025 ფინანსური წლის განმავლობაში აუდიტის ხარისხის გარე მიმოხილვა არ ჩატარებულა.

ბოლო ხარისხის გარე მიმოხილვა ჩატარა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე პერიოდში, საბოლოო ანგარიში კი 2023 წლის 29 დეკემბერს გამოიცა.

გადაანგარიშებები

0

არსებითი შეცდომების გამო ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშებების რაოდენობა, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტს (სადაც PwC წინა წლის აუდიტორი იყო).

0%


ემიტენტი აუდიტის კლიენტებისთვის ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების პროცენტული მაჩვენებელი.

მიმოხილვა რეალურ დროში

რეალურ დროში მიმოხილვის პროგრამაში შეყვანილი ერთი აუდიტორული ადგილობრივი გარიგება

ტექნიკური ტრენინგების საათები ფინანსური წელი 25

PwC-ის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული ტექნიკური ტრენინგის საშუალო საათების რაოდენობა (აუდიტი, აღრიცხვა, მონაცემები და ა.შ.)




წლის მიმოხილვა

პიკურ პერიოდში, ნომინალურზე ზემოთ საათების წლიური საშუალო გადანაწილება პოზიციების მიხედვით

ფინანსური წელი 2025				ფინანსური წელი 2024			
276	453	502	366	303	476	691	368
პარტნიორები	მენეჯერები	უფროსი აუდიტორები	აუდიტორები	პარტნიორები	მენეჯერები	უფროსი აუდიტორები	აუდიტორები

პროექტების მართვა – აუდიტის ფაზები


საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (ს.დ.პ.) აუდიტისთვის დათმობილი სამუშაო საათები ბიუჯეტთან მიმართებით



აუდიტის საათების გამოყენების კოეფიციენტი აუდიტის გუნდის წევრებისთვის

		ფ.წ. 25		ფ.წ. 24		ფ.წ. 23		ფ.წ. 22	
პარტნიორები	-დან	მენეჯერამდე	1 -დან 4.3-მდე	1 -დან 6.3-მდე	1 -დან 4.5-მდე	1 -დან 4.5-მდე	1 -დან 4.5-მდე	1 -დან 4.5-მდე	1 -დან 4.5-მდე
მენეჯერი	-დან	პერსონალამდე	1 -დან 5.0-მდე	1 -დან 4.8-მდე	1 -დან 5.6-მდე	1 -დან 6.2-მდე	1 -დან 6.2-მდე	1 -დან 6.2-მდე	1 -დან 6.2-მდე
პარტნიორები	-დან	პერსონალამდე	1 -დან 25.8-მდე	1 -დან 36.7-მდე	1 -დან 29.5-მდე	1 -დან 32.6-მდე	1 -დან 32.6-მდე	1 -დან 32.6-მდე	1 -დან 32.6-მდე

შენარჩუნების საშუალო მაჩვენებელი პოზიციების მიხედვით



პერსონალის დატვირთულობა

ს.დ.პ.-ის აუდიტზე მომუშავე პერსონალის ფაქტობრივი დატვირთვა, დაგეგმილთან მიმართებით

ფ.წ.25: 135%
ფ.წ.24: 127%
ფ.წ.23: 117%

ტექნიკური მხარდაჭერა – ცენტრ. და აღმ. ევროპის რეგიონი

1 -დან 6.2-მდე

ტექნიკური მხარდაჭერის პოზიციებზე მომუშავე პარტნიორების თანაფარდობა აუდიტის პარტნიორების საერთო რაოდენობასთან

ალტერნატიული მიწოდების მოდელის გამოყენება (კომპეტენციის ცენტრები, SDC-ები, MTDC)

21.5%

აქსელერაციის ცენტრების მიერ შესრულებული აუდიტის საათების პროცენტული მაჩვენებელი

ჩვენი პარტნიორების გამოცდილება

პარტნიორების საშუალო წლიური გამოცდილება PwC-ში

18 წელი

2

ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ISQM 1)

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) დაამტკიცა და გამოსცა სამი ახალი და გადასინჯული სტანდარტი, რომლებიც აძლიერებს და ათანამდროვეებს ფირმის მიდგომას ხარისხის მართვის მიმართ, მათ შორისაა ISQM 1. აღნიშნული სტანდარტი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის 15 დეკემბერს, ყველა ფირმას ავალდებულებდა, რომ 2023 წლის 15 დეკემბრამდე შეემუშავებინა და დაენერგა სტანდარტის მოთხოვნები და შეეფასებინა მათი ხარისხის მართვის სისტემა (SoQM) ახალი სტანდარტის შესაბამისად.

ISQM 1 არის მიზნებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ფირმებისგან მოელის, ჰქონდეთ ხარისხის მართვის სისტემა (SoQM), რომელიც ფუნქციონირებს უწყვეტად და ინტერაქტიულად, ფირმაზე მოქმედი პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებებისა ან უმოქმედობის გათვალისწინებით. ის აძლიერებს ფირმის პასუხისმგებლობას მონიტორინგთან და ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს SoQM-ის უფრო პროაქტიურ, რეალურ დროში მონიტორინგის, უფრო ეფექტური, ქმედითი და დროული მიზეზების ძირეული ანალიზის პროცესის და ხარვეზების დროული და ეფექტური გამოსწორების საჭიროებას.

ISQM 1 აცხადებს, რომ ფირმის მიზანია ისეთი ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) შემუშავება, დანერგვა და ექსპლუატაცია, რომელიც ფირმას გონივრულ რწმუნებას მისცემს, რომ:

- ფირმა და მისი პერსონალი ასრულებენ მათ მოვალეობებს პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და ახორციელებენ გარიგებებს ამ სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გამოცემული გარიგების ანგარიშები სათანადოა მოცემულ გარემოებებში.

სტანდარტი ასევე გვამცნობს, რომ საზოგადოებრივი ინტერესები დაცულია ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულებით და რომ ეს შესაძლებელი ხდება ეფექტური ხარისხის მართვის სისტემის მეშვეობით.

განსაკუთრებული აქცენტი მარწმუნებელი მომსახურების ხარისხზე ფირმების ქსელის მასშტაბით

PwC ქსელის აუდიტის მიმართულების QMSE სისტემა

მაღალი ხარისხით სამუშაოს შესრულება PwC-ში ჩვენი საქმიანობის ცენტრალური ფაქტორია; ეს არის ის, რასაც ჩვენი დაინტერესებული მხარეები სამართლიანად მოელიან ჩვენგან.

იმისათვის, რომ მომსახურება გავწიოთ ეფექტურად და ქმედითი გზით, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, PwC ქსელმა შეიმუშავა მომსახურების სრულყოფილებისთვის ხარისხის მართვის სისტემა (QMSE), რომელიც აერთიანებს ხარისხის მართვას თითოეული ფირმის საქმიანობის წარმართვისა და რისკების მართვის პროცესში.

მომსახურების სრულყოფილებისთვის ხარისხის მართვის (QMSE) სისტემა შექმნილია ISQM 1-ის მიზნებსა და მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და წარმოადგენს PwC ფირმებში ხარისხის მართვის მოდელს, რომელიც აერთიანებს ხარისხის მართვას ბიზნეს პროცესებსა და კომპანიის მასშტაბით რისკების მართვის პროცესში. QMSE-ის ფარგლებში, ჩვენი საერთო ხარისხის მიზანი მხარდაჭერილია ხარისხის მართვის ძირითადი მიზნებით და თითოეული ფირმის SoQM უნდა იყოს შემუშავებული და მართული ისე, რომ საერთო ხარისხის მიზანი, რომელიც მოიცავს ISQM 1-ის მიზნებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მიღწეულ იქნას გონივრული რწმუნებით.



მომსახურების სრულყოფილებისთვის ხარისხის მართვის სისტემის (QMSE) ფარგლებში ხარისხის საერთო მიზანი

ჩვენს ორგანიზაციაში უზრუნველყოფილი იყოს აუცილებელი შესაძლებლობები და ჩვენი თანამშრომლები უზრუნველყოფილი იყვნენ იმგვარად რომ მოხდეს ჩვენი მეთოდოლოგიების, პროცესების და ტექნოლოგიების თანმიმდევრული გამოყენება, რათა ჩვენი მომსახურება გაწეული იქნეს ეფექტური და ქმედითი გზებით, რაც გაამართლებს ჩვენი კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული პირების მოლოდინებს.

ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა

სწორად ინტეგრირებული და შესაბამისობაში მოყვანილი

ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა (SoQM) მოიცავს ხარისხის მიზნებს, რომლებიც იდენტიფიცირებულია ISQM 1-ის შემდეგი კომპონენტებიდან, ასევე ნებისმიერ დამატებით მიზანს, რომელიც PwC ქსელმა QMSE ჩარჩოში განსაზღვრა.

- მმართველობა და ლიდერობა
- შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები
- კლიენტთან ურთიერთობებისა და კონკრეტული გარიგებების მიღება და განგრძობითობა
- გარიგების შესრულება
- რესურსები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია

ამ მიზნების მისაღწევად, PwC ქსელი მნიშვნელოვან რესურსებს უთმობს ქსელში ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. ეს მოიცავს ხარისხის ძლიერი ინფრასტრუქტურის არსებობას, რომელიც მხარდაჭერილია შესაბამისი თანამშრომლების, ძირითადი ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების მიერ, როგორც ქსელის დონეზე, ასევე ჩვენს ფირმაში, ასევე, ჩვენს ტექნოლოგიაში უწყვეტი ინოვაციებისა და ინვესტიციების პროგრამას. PwC ქსელის გლობალური მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის (GAQ) ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს PwC ფირმებს მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობასა და უწყვეტ გაუმჯობესებაში ეფექტური პოლიტიკის, ინსტრუმენტების, სახელმძღვანელო მითითებებისა და სისტემების მეშვეობით, რომლებიც გამოიყენება ხარისხის შემდგომი ხელშეწყობისა და მონიტორინგისთვის და ჩვენს საქმიანობაში თანმიმდევრულობის შესაბამისი დონის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ელემენტები ჩვენი ქსელის მიერ ინტეგრირებული და შეხამებულია ყოვლისმომცველი, მთლიანი და ურთიერთდაკავშირებული ხარისხის მართვის სისტემის შესაქმნელად, რომელსაც თითოეული ფირმა მოირგებს ინდივიდუალური გარემოებების ასახვად. თითოეული ფირმა პასუხისმგებელია ქსელის მიერ მოწოდებული რესურსების გამოყენებაზე, რათა უზრუნველყოთ ხარისხი ჩვენი დაინტერესებული მხარეების მოლოდინების დასაკმაყოფილებლად.

ხარისხის მართვის პროცესი

ამ მიზნების მიღწევას მხარს უჭერს ჩვენი ფირმისა და მარწმუნებელი მომსახურების მიმართულების ხელმძღვანელობის, ბიზნეს პროცესებზე პასუხისმგებელი პირების, პარტნიორებისა და თანამშრომლების მიერ შემუშავებული **ხარისხის მართვის პროცესი (QMP)**. ხარისხის მართვის ეს პროცესი მოიცავს:

- ხარისხის მიზნების მიღწევის რისკების გამოვლენას
- ხარისხის შეფასებულ რისკებზე რეაგირების მეთოდების შემუშავებასა და განხორციელებას
- პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებისა და საოპერაციო ეფექტურობის მონიტორინგს პროცესთან ინტეგრირებული მონიტორინგის ისეთი აქტივობების გამოყენებით, როგორიცაა რეალურ დროში აუდიტი, ასევე მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის შესაბამის ინდიკატორებს.
- ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) უწყვეტ გაუმჯობესებას, როდესაც გასაუმჯობესებელი სფეროები გამოვლენილია მიზეზების ძირეული ანალიზის და გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელების გზით; და
- ხარისხთან დაკავშირებული აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა, რათა მკაფიოდ დადგინდეს ხარისხთან დაკავშირებული მოსალოდნელი ქცევისა და შედეგების მოლოდინები, ასევე, აღნიშნული მოლოდინების განმტკიცებისთვის შეფასებების, ანაზღაურებასა და კარიერული წინსვლის გადაწყვეტილებებში თანმიმდევრული და გამჭვირვალე გამოყენების გზით.



ეს გულისხმობს მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის ინდიკატორების ინტეგრირებულ გამოყენებას ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების პროგნოზირების მიზნით, რეალურ დროში აუდიტის პროცესს ხარისხის პრობლემების თავიდან ასაცილებლად, მიზეზების ძირეულ ანალიზს რომ ვისწავლოთ ხარისხის შეუსაბამობებიდან და აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს ხარისხთან დაკავშირებული ქცევის, კულტურისა და ქმედებების გაძლიერებას.

ჩვენი ხარისხისადმი მიდგომა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) რეგიონალური მიდგომა

PwC CEE რეგიონალურ საფუძველზე მოქმედებს და შესაბამისად, პროცესების, კონტროლისა და სისტემების უმეტესობა რეგიონალურია. ამას ემატება ადგილობრივი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივ რისკებს და რეგიონული მოთხოვნების განხორციელებას. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ განიხილა და შეაფასა ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) როგორც CEE-ს რეგიონული, ასევე ადგილობრივი ტერიტორიული კომპონენტები.

ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემა (SoQM)

ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა (SoQM), ხარისხის მიზნების მისაღწევად, უნდა იყოს შემუშავებული, დანერგილი და უწყვეტად ფუნქციონირებადი. ეს მიმდინარე პროცესი მოიცავს მონიტორინგს, შეფასებას, ანგარიშგებას და რეაგირებას ხარისხის რისკების ცვლილებებზე, რომლებიც გამოწვეულია ფირმის შიდა და გარე გარემოს გათვალისწინებით. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი ხარისხის მართვის პროცესს (QMP).

ამიტომ, ხარისხის მართვაზე ჩვენი აქცენტი არ არის დადგენილი წესების გამოყენება, არამედ რისკებზე რეაგირების ისეთი მეთოდების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც შეესაბამება ჩვენს მიერ რისკის შეფასებისას გამოვლენილი რისკების მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნის მიღწევას, იმ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების და/ან უმოქმედობის გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ჩვენს ხარისხის მართვის სისტემაზე.

ჩვენი რისკების შეფასების პროცესი

ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემა (SoQM) გვცხადებს ორიენტირებას და რეაგირებას განვსაზღვრავთ გლობალურ გამოწვევებზე და მათ გავლენებზე, რათა მიღწეულ იყოს მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანი - განვსაზღვრავთ ხარისხიანი აუდიტის გარიგებები. ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა მოიცავს რისკის შეფასების განხორციელებას ხარისხის მართვის სისტემაში განსაზღვრული ხარისხის მიზნების შესაბამისად. განვიხილავთ, თუ როგორ და რა დონეზე შეიძლება ამა თუ იმ პირობამ, მოვლენამ, გარემოებამ, მოქმედებამ ან უმოქმედობამ უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე, რამაც შეიძლება შედეგად გამოიწვიოს:

- ხარისხის ახალი, ან ცვალებადი რისკები ერთი ან, ერთზე მეტი ხარისხის მიზნის მისაღწევად
- ხარისხის რისკების არსებული შეფასების ცვლილებები
- ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების ცვლილებები, მათ შორის რისკებზე რეაგირება

ხარისხის რისკი არის რისკი, რომლის წარმოშობის გონივრული ალბათობა არსებობს და ინდივიდუალურად, ან სხვა ხარისხის რისკებთან კომბინაციაში შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ერთი, ან ერთზე მეტი ხარისხის მიზნის მიღწევაზე.

პროგნოზირების მიზანი: მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის ინდიკატორები




განვსაზღვრეთ მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის ინდიკატორების (AQI) ჩამონათვალი, რომელიც ეხმარება ჩვენს მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელების გუნდს ხარისხის პოტენციური რისკების ადრეულ გამოვლენაში, ხარისხის პრობლემების პროგნოზირებისთვის მეტრიკის გამოყენების გზით. ხარისხის რისკის ეს ანალიზი ჩვენი მომსახურების სრულყოფილებისთვის ხარისხის მართვის სისტემის (QMSE) აუცილებელი ნაწილია და აუდიტის ხარისხის ინდიკატორები, შესრულების სხვა მაჩვენებლებთან ერთად, ასევე წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) მიმდინარე მონიტორინგისა და უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემა

წინამდებარე გამჭვირვალობის ანგარიშში, წარმოვადგინეთ ინფორმაცია იმ პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც შემუშავებული, დანერგული და მოქმედია ადგილობრივ ან ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ დონეზე, რათა შემცირდეს ჩვენს მიერ გამოვლენილი ხარისხის რისკები მისაღებ დონემდე და დაგვეხმაროს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) მიმართ გონივრული რწმუნების განმტკიცებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი პოლიტიკა და პროცედურა შემუშავებულია PwC ქსელის მიერ, რომელიც ჩვენ შევავსეთ იმის დასადგენად, იყო თუ არა არსებული რესურსები შესაფერისი ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) ნაწილად გამოსაყენებლად და გარიგებების შესრულებისთვის. ანგარიშის შემდეგი ნაწილები მოიცავს ISQM 1 ხარისხის მიზნებს:

- კულტურა და ღირებულებები – მმართველობა და ლიდერობა, შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, კლიენტებთან ურთიერთობების დაწყება/განგრძობითობა და სპეციფიური გარიგებები
- ჩვენი თანამშრომლები – ადამიანური რესურსები
- ჩვენი მიდგომა – ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები, გარიგების შესრულება, ინფორმაცია და კომუნიკაცია



ჩვენი მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცესი

„მონიტორინგის“ განყოფილებაში აღვწერეთ მიმდინარე და პერიოდული მონიტორინგის ფორმები, რომლებიც ჩვენმა ფირმამ შეიმუშავა, დანერგა და ახორციელებს, რათა მოგვაწოდოს შესაბამისი და სანდო ინფორმაცია ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესახებ და დაგვეხმაროს შესაბამისი ზომების მიღებაში ნებისმიერი გამოვლენილი ხარვეზის გამო, რათა შევძლოთ ამ ხარვეზების ეფექტურად და დროულად გამოსწორება. გამოვლენილი ხარვეზების დროული და ეფექტური გამოსწორების მხარდასაჭერად, ჩვენმა ფირმამ შეიმუშავა, დანერგა და ახორციელებს მიზეზების ძირეული ანალიზის პროგრამას, რომელიც უფრო დეტალურად არის აღწერილი 38-ე გვერდზე.

ჩვენი მონიტორინგისა და ხარვეზების გამოსწორების პროცესიდან მოპოვებული ინფორმაცია, სხვა, ისეთი ინფორმაციის წყაროებთან ერთად, როგორიცაა გარე მიმოხილვები, გამოიყენება ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის შესაფასებლად.

ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემა

განაცხადი ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შესახებ



2025 ფინანსური წლის განმავლობაში ჩვენ დავასრულეთ ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შეფასება ISQM 1-ის შესაბამისად. შპს ფრაისუთეჰაუსკუპერს საქართველოს (PwC საქართველო) სახელით, ხარისხის მართვის სისტემისთვის საბოლოო პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მქონე პირმა შეაფასა, გვამღევს თუ არა ჩვენი ფირმის ხარისხის მართვის სისტემა გონივრულ რწმუნებას, რომ:

- ფირმა და მისი პერსონალი ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და ახორციელებენ გარიგებებს ამ სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გაცემული გარიგების ანგარიშები გარემოებების შესაბამისია.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ყველა შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, გვჯერა, რომ ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა გვამღევს გონივრულ რწმუნებას, რომ ზემოთ აღნიშნული ISQM 1 ხარისხის მიზნები მიღწეულია.


შეფასების თარიღიდან, 2025 წლის 30 ივნისიდან, ამ გამჭვირვალობის ანგარიშის თარიღამდე, 2025 წლის 28 ნოემბრამდე, არანაირი დამატებითი ინფორმაცია არ მიუთითებს იმაზე, რომ PwC საქართველოს ხარისხის მართვის სისტემაში არსებობს რაიმე ახალი მნიშვნელოვანი (მძიმე ან გავრცელებული) ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხის მართვის სისტემასთან 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 30 ივნისამდე პერიოდში.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) შეფასება PwC CEE-ში ორ დონეზე ხორციელდება. პირველ რიგში, PwC CEE-ს ხელმძღვანელობა ახორციელებს ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) შეფასებას მთელი CEE რეგიონისთვის. შემდგომში, ამ შეფასების შედეგები ეცნობება თითოეული ტერიტორიის ხელმძღვანელობის გუნდებს. ამ შედეგების, ტერიტორიისთვის სპეციფიკური ინფორმაციის (მაგ., ადგილობრივი მარეგულირებლის მონიტორინგის შედეგები, ტერიტორიის ხარისხის მაჩვენებლები) საფუძველზე, ტერიტორიის ხელმძღვანელობა აკეთებს დასკვნას ტერიტორიის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) შესახებ. ტერიტორიის ეს შეფასება წარმოადგენს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) ეფექტურობის შესახებ განცხადების საფუძველს, რომელიც მოცემულია გამჭვირვალობის ანგარიშში.

მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის ბოლო მიმოხილვა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 8 ივნისით დათარიღებული საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად ჩატარებული ბოლო ხარისხის გარე მიმოხილვა ჩატარა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა 2023 წლის 16 ოქტომბრიდან 29 დეკემბრამდე პერიოდში, საბოლოო ანგარიში კი 2023 წლის 29 დეკემბერს გამოიცა. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ 2016 წლის 8 ივნისით დათარიღებული საქართველოს კანონის 19.9 მუხლის თანახმად, აუდიტორული ფირმის ხარისხის მონიტორინგი ტარდება მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.

PwC საქართველო აგრძელებს საქართველოში კანონით სავალდებულო აუდიტორულ საქმიანობას.



3

კულტურა და ღირებულებები

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ჩვენი კულტურა და ღირებულებები

კულტურის განსაზღვრება



PwC-ში, ხარისხიან მომსახურებას განვსაზღვრავთ, როგორც ჩვენი დაინტერესებული მხარეების მოლოდინების მუდმივ დაკმაყოფილებას და ყველა შესაბამისი სტანდარტებისა და პოლიტიკის დაცვას. ხარისხის ამ განსაზღვრების შესაბამისად ჩვენი მომსახურების გაწევის მნიშვნელოვანი ნაწილია კულტურის ჩამოყალიბება 364 000-ზე მეტი ადამიანისგან შემდგარ ქსელში. ხარისხის ეს კულტურა ხაზს უსვამს იმას, რომ ხარისხი ყველას პასუხისმგებლობაა. ხარისხის ამ კულტურის გაუმჯობესების გაგრძელება ჩვენი გლობალური და ადგილობრივი ხელმძღვანელების გუნდებისთვის საყურადღებო და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ შეფასებაში.

შეფასება და გამჭვირვალობა



ჩვენი ყველა საქმიანობისთვის, PwC-ის თითოეული ფორმა - იმ პირობით, რომ ის წარმოადგენს PwC ქსელის წევრ ფორმას- ვალდებულია, ჰქონდეს ყოვლისმომცველი ხარისხის მართვის სისტემა; ყოველწლიურად ჩაატაროს ხარისხის მართვის სისტემის შესრულების შეფასება; და ამ შეფასებების შედეგები აცნობონ გლობალურ ხელმძღვანელობას. შემდეგ ეს შედეგები დეტალურად განიხილება თითოეული ადგილობრივი ფორმის ხელმძღვანელობასთან და თუ ისინი არ შეესაბამება მოსალოდნელ დონეს, თანხმდება ხარვეზების გამოსწორების გეგმა, რომლის წარმატებით განხორციელებაზეც ადგილობრივი ხელმძღვანელობა პირად პასუხისმგებლობას იღებს.

ჩვენი ქსელის მიერ მოწოდებული მომსახურებების ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთად, ასევე იცვლება ჩვენი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და მოლოდინები, PwC ქსელი მუდმივად განიხილავს და აახლებს ჩვენი PwC ფორმების ხარისხის მართვის სისტემების მასშტაბს, ფარგლებს და ოპერაციებს და ინვესტირებას ახდენს პროგრამებში, რათა გააუმჯობესოს PwC ქსელის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხი.



ჩვენი ფირმის ერთგულება ხარისხის მიმართ

ხელმძღვანელობა და ფირმის ფასეულობები, ეთიკა და ქცევის სტანდარტები



ჩვენი მიზანია საზოგადოებაში ნდობის ჩამოყალიბება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა, ხოლო ჩვენი ღირებულებები გვეხმარება ამ მიზნის მიღწევაში. ჩვენი მიზანი ასახავს „რატომ“ ვაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ, ხოლო ჩვენი სტრატეგია გვაწვდის იმას, თუ „რას“ ვაკეთებთ. თუ „როგორ“ ვასრულებთ ჩვენს მიზანს და სტრატეგიას, ჩვენი კულტურა, ღირებულებები და ქცევა განსაზღვრავს. აღნიშნული ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის საფუძველს ქმნის და განსაზღვრავს ჩვენს მუშაობის წესს, მათ შორის ჩვენი ლიდერული ქმედებების წარმართვას, ასევე, თუ როგორ ვამყარებთ „ნდობას იმის მიმართ, რაც მნიშვნელოვანია“.

ნდობა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ

დღესდღეობით, კომპანიების შესახებ აზრის ჩამოყალიბება არა მხოლოდ მათი ფინანსური შედეგების გათვალისწინებით ხდება. კომპანიის შედეგებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ESG და კიბერუსაფრთხოება, შეუძლია გავლენა მოახდინოს მის რეპუტაციაზე, პერსონალის შენარჩუნებაზე, კაპიტალის ხელმისაწვდომობაზე და საბოლოო ჯამში, საწარმოს ღირებულებაზე.

სწორედ ამიტომ ვავითარებთ ჩვენს მიერ შეთავაზებულ მარწმუნებელ მომსახურებას, რათა უზრუნველყოთ ნდობა არა მხოლოდ კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების მიმართ, არამედ მათი უფრო ფართო გავლენის მიმართაც.

ამას ვუწოდებთ „ნდობას იმის მიმართ, რაც მნიშვნელოვანია“. ვიყენებთ მკაცრ სტანდარტებს კომპანიების მუშაობის გასაანალიზებლად ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კლიმატი და მრავალფეროვნება. ეს კომპანიებს ეხმარება მათი პროგრესის დემონსტრირებაში, რაც მათ საშუალებას აძლევთ მოიპოვონ ნდობა, გააძლიერონ კორპორაციული რეპუტაცია და გაზარდონ საწარმოს ღირებულება.

ვურჩევთ ჩვენს კლიენტებს, განსაზღვრონ, რა არის მნიშვნელოვანი მათი დაინტერესებული მხარეებისთვის და ვაწვდით სანდო ინფორმაციას კომპანიის შედეგების შესახებ ამ საკითხებთან დაკავშირებით. გვჯერა, რომ თუ სანდოობა საჭიროა, ის უნდა იყოს გარანტირებული. მაღალი ხარისხის მარწმუნებელი მომსახურება აძლიერებს ანგარიშვალდებულებას და ნდობას, ამავდროულად აძლევს კომპანიებს მყარ საფუძველს მათი მუშაობის პროცესისთვის თვალყურის დევნების, ასევე ეხმარება მათ რომ იძუშაონ შედეგების გასაუმჯობესებლად.

როდესაც ჩვენს კლიენტებთან და კოლეგებთან ვმუშაობთ საზოგადოებაში ნდობის გასამყარებლად და მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, ჩვენ:

- ვმოქმედებთ კეთილსინდისიერად
- ვახდენთ გავლენას შედეგებზე
- ვზრუნავთ
- ვმუშაობთ გუნდურად
- ვახდენთ შესაძლებლობების ხელახლა გააზრებას

აუდიტის ხარისხის მაჩვენებლები



- თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები ან თანამშრომლების გლობალური გამოკითხვის შედეგები: თანამშრომლების ჩართულობის ინდექსი – 62%
- თანამშრომლების გლობალური გამოკითხვა: ხარისხთან დაკავშირებული ქცევის ინდექსი – 76%

ჩვენი ფირმის ერთგულება ხარისხის მიმართ

ხელმძღვანელობა და ფირმის ფასეულობები, ეთიკა და ქცევის სტანდარტები



ჩვენი ხარისხის კულტურის შემდგომი განვითარების მიზნით, PwC CEE ფირმამ განახორციელა ხარისხის კულტურისადმი მიძღვნილი სპეციალური ინიციატივა. ამ პროგრამის ფარგლებში, ფირმამ გამოავლინა რამდენიმე კრიტიკული ქცევა PwC-ის კატეგორიის ცენტრის მიერ შემუშავებული მიდგომის გამოყენებით და რომელიც ქსელის სხვადასხვა აუდიტის/მარწმუნებელი მომსახურების პრაქტიკისთვის მათი კულტურული მოგზაურობის დაწყებისთვის საფუძველს წარმოადგენს. ჩვენს რამდენიმე კრიტიკულ ქცევას წარმოადგენს:

- ვიყოთ წარმოდგენილები
- ვიხელმძღვანელოთ მაგალითების საფუძველზე
- ვილაპარაკოთ/აზრი გამოვთქვათ
- გავიაზროთ კონტექსტი

ხარისხზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა შენარჩუნებულია „tone at the top“-ის მეშვეობით: ხელმძღვანელობა სისტემატიურად ახდენს კომუნიკაციას ყველა პარტნიორთან და თანამშრომელთან ფირმის ხარისხის პრიორიტელობაზე. ამ კომუნიკაციას აყალიბებენ უფროსი პარტნიორი და ხელმძღვანელი გუნდი, ხოლო მის განხორციელებას და გამყარებას უზრუნველყოფენ შესაბამისი დავალებზე პასუხისმგებელი პარტნიორები. ჩვენი კომუნიკაციები ასახავს საუკეთესო პრაქტიკებს და განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროა ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებისთვის. პროცესს კოორდინაციას უწევს უმაღლესი ხელმძღვანელობა და დავალებაზე პასუხისმგებელი პარტნიორები, როგორც ქცევის მისაბამი მოდელები კლიენტთან და შიდა ურთიერთობებში. მუდმივად ვაფასებთ, თანამშრომლები რამდენად მიიჩნევენ, რომ ლიდერების მესიჯები სრულად გადმოსცემს ხარისხის მნიშვნელობას ფირმის წარმატებისთვის. შეფასებების საფუძველზე ვადასტურებთ, რომ გუნდს ნათლად ესმის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები. უმაღლესი ხარისხის მომსახურება ჩვენი მისია და მარწმუნებელი მომსახურების სტრატეგიის საკვანძო კომპონენტია და ემსახურება ნდობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას კლიენტებში, კაპიტალის ბაზრებსა და საზოგადოების ფართო წრეებში.

განმტკიცება: აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა



ჩვენი აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა (RAF) განმტკიცებს ხარისხს ყველაფერში, რასაც ჩვენი თანამშრომლები აკეთებენ სტრატეგიის განხორციელების მიზნით, ყურადღება გამახვილებულია ჩვენი კლიენტებისთვის მომსახურების მიწოდებაზე, ჩვენს თანამშრომლებთან მუშაობის წესსა და მაღალი ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა შექმნილია როგორც ხარისხთან დაკავშირებული მოსალოდნელი ქცევისა და შედეგების მკაფიო მოლოდინების დასადგენად, ასევე ამ მოლოდინების გასამყარებლად, რაზეც ჩვენი პარტნიორები ანგარიშვალდებულები არიან ხარისხთან დაკავშირებული ქცევასა და შესაბამისობის მიღმა არსებულ ხარისხთან დაკავშირებული შედეგებისთვის. ჩვენი RAF ითვალისწინებს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ხარისხთან დაკავშირებული შედეგები: ჩვენ ვაწვდით ხარისხთან დაკავშირებულ გამჭვირვალე შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნების მიღწევის შესაფასებლად. ჩვენი ხარისხთან დაკავშირებული შედეგები ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტების და PwC ქსელის, ასევე ჩვენი ფირმის სტანდარტებისა და პოლიტიკების დაცვას.
- ქცევითი სტანდარტები: ჩამოვყალიბებთ მოლოდინები იმ ქცევებზე, რომლებიც მხარს უჭერენ ხარისხისადმი სწორ მიდგომას, ზემდგომი ხელმძღვანელობის სწორი ტონის დამკვიდრებას და ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ მიზნების მიღწევაში ჩართულობას.
- ინტერვენცია/აღიარება: დავწერებთ ინტერვენციის და აღიარების ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს და აძლიერებს დადებით ქცევას, ასევე, ხელს უწყობს ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას.
- შედეგები/ჯილო: დავწერებთ ფინანსური და არაფინანსური შედეგების და ჯილოების სისტემას, რომლებიც შედეგისა და ქცევის თანაზომიერია და საკმარისია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნების მისაღწევად საჭირო სწორი ქცევის სტიმულირებისთვის.

2024 ფინანსურ წელს შეიქმნა CEE-ს ღირებულებების მოდერაციის კომიტეტი, რომელიც შედგება CEE-ს აღმასრულებელი დირექტორის, CEE-ს რისკების მართვის ხელმძღვანელის, პარტნიორების ოფისის ხელმძღვანელის, პარტნიორთა საბჭოს (PC-ს) თავმჯდომარისა და PC-ს შემოსავლებისა და მოდერაციის ქვეკომიტეტის წევრებისგან, რათა უზრუნველყოფილიყო RAF-ის თანმიმდევრული გამოყენება. კომიტეტი სამჯერ შეიკრიბა 2025 ფინანსურ წელს RAF-ის დროული გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ეთიკა, დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

ეთიკა (1/2)



PwC-ში ვიცავთ ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსში (შემდგომში „კოდექსი“). ეს პრინციპებია:

- i. კეთილსინდისიერება** – ვიყოთ პირდაპირები და პატიოსნები ყველა პროფესიულ თუ საქმიან ურთიერთობაში.
- ii. ობიექტურობა** – არ დავუშვათ რომ მიკერძოება, ინტერესთა კონფლიქტმა ან სხვების მიზანშეუწონელმა გავლენამ გადავაროს პროფესიული ან საქმიანი შეფასებები.
- iii. პროფესიული კომპეტენცია და სათანადო ზრუნვა** – პროფესიული ცოდნისა და უნარების შენარჩუნება ისეთ დონეზე, რაც საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კლიენტმა, ან დამკირავებელმა მიიღოს კომპეტენტური პროფესიული მომსახურება პრაქტიკაში, კანონმდებლობასა და ტექნიკაში მიმდინარე განვითარების საფუძველზე და იმოქმედოს გულმოდგინედ, ასევე, მოქმედი ტექნიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
- iv. კონფიდენციალურობა** – პროფესიული და საქმიანი ურთიერთობების შედეგად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, შესაბამისად, მესამე მხარეებს არ გავუქვამთ ასეთი ინფორმაცია სათანადო და კონკრეტული უფლებამოსილების გარეშე, თუ არ არსებობს ინფორმაციის გამჟღავნების კანონიერი ან პროფესიული უფლება ან მოვალეობა, ასევე არ გამოვიყენოთ ინფორმაცია პროფესიონალი ბუღალტრის ან მესამე პირების პირადი სარგებლისთვის.
- v. პროფესიული ქცევა** – შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების დაცვა და ნებისმიერი ისეთი ქმედების თავიდან აცილება, რომელიც პროფესიის დისკრედიტაციის საშუალებას იძლევა.

ჩვენი ქსელის სტანდარტები, რომლებიც ქსელის წევრ თითოეულ ფირმაზე ვრცელდება, მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ეთიკასა და საქმიან ქცევას, დამოუკიდებლობას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, ანტიმონოპოლიურ/სამართლიან კონკურენციას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, ინფორმაციის დაცვას, ფირმისა და პარტნიორის გადასახადებს, სანქციების შესახებ კანონებს, შიდა აუდიტს და ინსაიდერულ ვაჭრობას. ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით ამ ეთიკური მოთხოვნების დაცვას და ვცდილობთ, გავითვალისწინოთ ამ მოთხოვნების არსი და არა მხოლოდ ფორმა.

ყველა პარტნიორი, თუ თანამშრომელი გადის ყოველწლიურ სავალდებულო ტრენინგს, ასევე, როგორც სისტემის ნაწილი, წარადგენს ყოველწლიურ შესაბამისობის დადასტურებას, რათა ხელი შეეწყოს იმ ეთიკური მოთხოვნების სათანადო გააზრებას, რომელთა მიხედვითაც ვოპერირებთ. პარტნიორები და თანამშრომლები იცავენ PwC ქსელის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს და PwC საქართველოს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ამ ვალდებულებების შესრულებას.

PwC-ის ღირებულებების (კეთილსინდისიერად მოქმედება, შედეგებზე გავლენის მოხდენა, ზრუნვა, გუნდური მუშაობა და შესაძლებლობების ხელახალი გააზრება) და PwC-ის მიზნის გარდა, PwC საქართველომ მიიღო PwC-ის ქცევის კოდექსი, ქსელური სტანდარტები და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც ნათლად აღწერს ჩვენი პარტნიორებისა და სხვა პროფესიონალებისგან მოსალოდნელ ქცევას - ქცევას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, განვამტკიცოთ საზოგადოების ნდობა. სიტუაციების მრავალფეროვნების გამო, რომელთა წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ჩვენი პროფესიონალები, ჩვენი სტანდარტები იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა გარემოებებისთვის, თუმცა ყველა მათგანს აქვს საერთო მიზანი - სწორი საქმის კეთება.

თანამშრომლის დაქირავების ან მიღებისთანავე, PwC საქართველო ახდენს PwC-ის ქცევის კოდექსის მიმოხილვას და ყველა პარტნიორისა და თანამშრომლისგან მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. მათ უნდა დაიცვან ეს მოლოდინები ჩვენს ფირმაში მათი პროფესიული კარიერის განმავლობაში. კოდექსში მოცემული ღირებულებებისა და მოლოდინების ფარგლებში თანამშრომლები იღებენ პასუხისმგებლობას, გამოხატონ და შესაბამის პირებს აცნობონ პრობლემების შესახებ და ეს გააკეთონ სამართლიანად, პატიოსნად და პროფესიონალურად, რთულ სიტუაციებთან გამკლავების ან კოდექსთან შეუსაბამო ქცევის აღმოჩენისას. გარდა ამისა, ყველა პარტნიორმა და თანამშრომელმა უნდა გაიაროს ახალი თანამშრომლების ტრენინგი, რომელიც მოიცავს ქსელში დამკვიდრებულ ეთიკისა და შესაბამისობის სტანდარტებს, მათ შორის ეთიკასა და ქცევის კოდექსს.

ეთიკა, დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

ეთიკა (2/2)



PwC-მ ქსელის მასშტაბით დაწერა ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული კონფიდენციალური დახმარების ხაზი, რომელიც გამოიყენება ქცევის კოდექსთან და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკასთან შეუსაბამო ქცევასთან დაკავშირებული კითხვების ან პრობლემების შესატყობინებლად. PwC-ის ყველა ფირმას გააჩნია ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული მათთვის გამოყოფილი და უსაფრთხო დახმარების ხაზი მათი კონფიდენციალური საკითხებისთვის და ამ საკითხების გამოძიებისთვის. ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული დახმარების ხაზი ასევე ხელმისაწვდომია მესამე მხარეებისთვის, მათ შორის კლიენტებისთვის. ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული დახმარების ხაზი საშუალებას აძლევს ჩვენს პარტნიორებს, თანამშრომლებს და მესამე მხარეებს, თავი უსაფრთხოდ იგრძნონ კითხვის დასმისას ან პრობლემის გამოვლენისას უარყოფითი საპასუხო რეაგირების მოლოდინის გარეშე.

PwC-ის ქცევის კოდექსი და ეთიკის საკითხებთან დაკავშირებული დახმარების ხაზი ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში ყველა შიდა, თუ გარე დაინტერესებული მხარისთვის შემდეგ ბმულზე: <https://www.pwc.com/ethics>.

CEE-მ დაიწყო ანგარიშვალდებულების სისტემის გამოყენება, რათა ხელი შეუწყოს ქცევის კოდექსთან შეუსაბამო ქცევების გამოსწორებას.

დასასრულს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) გვთავაზობს რეკომენდაციებს — მათ შორის მულტინაციონალური საწარმოებისთვის OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპებს — რათა გლობალურად ოპერირებისას ნებაყოფლობითი პასუხისმგებელი ბიზნესქცევის პრინციპები და სტანდარტები იქნას გათვალისწინებული. OECD-ის სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს ღირებულ სისტემას, რომელიც მიმართულებას აძლევს შესაბამისობის მთავარ მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მიუხედავად PwC-ის ქსელის იურიდიული დამოუკიდებლობისა (ის არ წარმოადგენს ერთიან მულტინაციონალურ კორპორაციას ან საწარმოს), მისი სტანდარტები და პოლიტიკები ეფუძნება და თანხვედრაშია OECD-ის სახელმძღვანელოს მიზნებთან.

თანამშრომლების გლობალური გამოკითხვა მოიცავს ეთიკასთან და ზედა აზრაცებში მოცემულ შინაარსთან დაკავშირებულ რამდენიმე კითხვას, მაგალითად:

- ადამიანები, ვისთანაც ვმუშაობ, ავლენენ PwC-ის გლობალური ქცევის კოდექსის შესაბამის ქცევას - 83%
- PwC-ში თავს კომფორტულად ვგრძნობ ეთიკური საკითხებისა და პრობლემების განხილვისას, ან ამ საკითხების შესახებ სათანადო პირების ინფორმირებისას საპასუხოდ უარყოფითი საპასუხო რეაგირების მოლოდინის გარეშე - 69%



ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებისა და სხვა სახის პროფესიული მომსახურების მიმწოდებლების რანგში, PwC ფირმებისგან, მათი პარტნიორებისა და თანამშრომლებისგან მოსალოდნელია ობიექტურობის, მთლიანობისა და პროფესიული ქცევის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა. მარწმუნებელი მომსახურების კლიენტებთან მიმართებაში, დამოუკიდებლობა ამ მოთხოვნების საფუძველია. ამ პრინციპების დაცვა ფუნდამენტურია კაპიტალის ბაზრებისა და ჩვენი კლიენტების მომსახურებისთვის.

PwC-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება კოდექსს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტებს, შეიცავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომელთა დაცვაზეც PwC-ის ფირმები შეთანხმდნენ, მათ შორის პროცესებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უნდა დავიცვათ კლიენტებისგან დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის (SEC), ევროკავშირისა და საქართველოს მოთხოვნები დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გარკვეულ შემთხვევებში უფრო მკაცრია, ვიდრე დამოუკიდებლობის გლობალური პოლიტიკა. ამ მოთხოვნების მასშტაბისა და ქსელში PwC ფირმებზე მათი გავლენის გათვალისწინებით, პოლიტიკა განსაზღვრავს ძირითად სფეროებს, სადაც SEC-ის ან ევროკავშირის მოთხოვნა უფრო მკაცრია. დებულებები, რომლებიც კონკრეტულად განსაზღვრულია, როგორც მოქმედი - SEC-ის ან ევროკავშირის მიერ შეზღუდული საწარმოებისთვის, დაცული უნდა იყოს შესაბამის პუნქტში მოცემულ პოლიტიკასთან ერთად, ან მის ნაცვლად.



დამოუკიდებლობის პოლიტიკა და პრაქტიკა

PwC-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკა, სხვა სფეროებთან ერთად, შემდეგ სფეროებსაც მოიცავს:

- პერსონალის და ფირმის დამოუკიდებლობა, მათ შორის პოლიტიკა და მითითებები ფინანსური წილების ფლობისა და სხვა ფინანსური შეთანხმებების შესახებ, მაგალითად, ფირმის, პარტნიორების, თანამშრომლების საბანკო ანგარიშები და სესხები, ასევე საპენსიო სქემები;
- არააუდიტორული მომსახურება და საფასურის შესახებ შეთანხმებები. აღნიშნული პოლიტიკა მხარდაჭერილია ნებადართული მომსახურების შესახებ განაცხადებებით (SOPS), რომლებიც პრაქტიკულ მითითებებს იძლევა არააუდიტორული მომსახურების პოლიტიკის გამოყენების შესახებ აუდიტის კლიენტებისა და დაკავშირებული საწარმოებისთვის;
- საქმიანი ურთიერთობები, მათ შორის პოლიტიკა და ინსტრუქციები ერთობლივი საქმიანი ურთიერთობების (როგორცაა ერთობლივი საწარმოები და ერთობლივი მარკეტინგი) შესახებ, ასევე, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შეძენის შესახებ; და
- აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების კლიენტების აყვანა და ამ კლიენტებისთვის გასაწევი ნებისმიერ არამარწმუნებელ მომსახურებაზე შემდგომი დათანხმება.

CEE დონეზე გვყავს სპეციალურად ამ საკითხებზე პასუხისმგებელი პარტნიორი (ცნობილი როგორც „დამოუკიდებლობაზე პასუხისმგებელი პარტნიორი“ ან „PRI“), ხელმძღვანელი შესაბამისი თანამდებობითა და სტატუსით, რომელიც პასუხისმგებელია PwC-ის გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკის განხორციელებაზე, მათ შორის დამოუკიდებლობის პროცესების მართვასა და ბიზნესის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. PRI-ს მხარს უჭერს დამოუკიდებლობის სპეციალისტების გუნდი. PRI პირდაპირ ანგარიშვალდებულია CEE-ს რისკების მართვის ოფიცერთან, რომელიც, თავის მხრივ, CEE ფირმის ხელმძღვანელობის გუნდის წევრია.

გარდა ამისა, არსებობს ქსელის რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს ძირითადი აუდიტის პარტნიორების როტაციასთან დაკავშირებით.

ეს პოლიტიკა და პროცესები შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს PwC ფირმებს დაიცვან დამოუკიდებლობის შესაბამისი პროფესიული და მარეგულირებელი სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება მარწმუნებელი მომსახურების გაწევაზე. პოლიტიკა და დამხმარე სახელმძღვანელო პრინციპები გადაიხედება და გადაისინჯება ისეთი ცვლილებების წარმოშობისას, როგორცაა კანონებისა და რეგულაციების განახლებები, მათ შორის კოდექსში ნებისმიერი ცვლილება ან ოპერაციულ საკითხებზე რეაგირება.

PwC საქართველო გლობალური დამოუკიდებლობის პოლიტიკასთან ერთად ითვალისწინებს ადგილობრივი რეგულაციების მოთხოვნებს, როდესაც ისინი ქსელის პოლიტიკაზე უფრო მკაცრია.

დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სისტემები და ინსტრუმენტები

როგორც PwC ქსელის წევრს, PwC საქართველოს აქვს წვდომა რიგ სისტემებსა და ინსტრუმენტებზე, რომლებიც ეხმარება PwC ფირმებს და პერსონალს მათი დამოუკიდებლობის პოლიტიკისა და პროცედურების შესრულებასა და დაცვაში. ესენია:

- "CES", რომელიც შეიცავს ინფორმაციას კორპორაციული საწარმოების შესახებ, მათ შორის PwC-ის ყველა აუდიტის კლიენტისა და მათთან დაკავშირებული საწარმოების (მათ შორის საზოგადოებრივი დაინტერესების მქონე ყველა აუდიტის კლიენტისა და SEC-ის მიერ შეზღუდული საწარმოების), ასევე მათთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების შესახებ. CES ეხმარება PwC ფირმის და PwC-ის სხვა ფირმების კლიენტების დამოუკიდებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენაში ახალ, არააუდიტორულ მომსახურებაში ან საქმიან ურთიერთობაში შესვლამდე. ეს სისტემა ასევე გამოიყენება დამოუკიდებლობის გადამოწმების სისტემის (Independence Checkpoint) და მომსახურების ავტორიზაციის სისტემის მიერ;
- „Independence Checkpoint“, რომელიც ხელს უწყობს ყველა პარტნიორისა და მენეჯერული პრაქტიკის პერსონალის მიერ საჯარო ვაჭრობისას ფასიანი ქაღალდების შეძენამდე წინასწარ შემოწმებას, ასევე გამოიყენება მათი შემდგომი შესყიდვებისა და განკარგვის აღრიცხვისთვის. როდესაც PwC ფირმა აიყვანს ახალ აუდიტის კლიენტს, ან ფასიანი ქაღალდის შეზღუდვის სტატუსი იცვლება, ეს სისტემა ავტომატურად აცნობებს შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ფასიანი ქაღალდის საჭიროების შემთხვევაში გაყიდვის მოთხოვნის შესახებ;
- მომსახურების ავტორიზაციის სისტემა (AFS) წარმოადგენს გლობალურ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს არააუდიტორული მომსახურების გარიგების ლიდერსა და აუდიტორული მომსახურების გარიგების ლიდერს შორის კომუნიკაციას შეთავაზებული არააუდიტორული მომსახურების შესახებ, ახდენს მომსახურების გაწევისას შექმნილი ნებისმიერი პოტენციური დამოუკიდებლობის საფრთხის ანალიზს და განსაზღვრავს დაცვის შეთავაზებულ ზომებს, საჭიროების შემთხვევაში, და წარმოადგენს აუდიტის პარტნიორის დასკვნის ჩანაწერს მომსახურების დასაშვებობის შესახებ;
- JBR წარმოადგენს გლობალურ სისტემას, რომელიც გამოიყენება ერთობლივი (მჭიდრო) ბიზნეს ურთიერთობების დამოუკიდებლობის პერსპექტივიდან განსახილველად. JBR გამოიყენება PwC ფირმების მიერ JBR-ის მოთხოვნების დაცვის ხელშეწყობის მიზნით ახალი და არსებული ერთობლივი ბიზნეს ურთიერთობებისთვის. ის ეხმარება დამოუკიდებლობის სპეციალისტებს ინფორმაციის შეგროვებაში, რათა დამოუკიდებლობის პერსპექტივიდან შეაფასონ შეთავაზებული ერთობლივი ბიზნეს ურთიერთობების დასაშვებობა და აკონტროლონ ადრე დამტკიცებული არსებული ერთობლივი ბიზნეს ურთიერთობების დასაშვებობის განგრძობითობა;
- "ჩემი შესაბამისობის სამართავი პანელი" (MCD) წარმოადგენს გლობალურ შესაბამისობის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისობის ყოველწლიურ დადასტურებას, გარიგების დამოუკიდებლობის დადასტურებას და ანგარიშგებას; და
- "დარღვევების შესახებ ანგარიშგების გლობალური სისტემა", რომელიც შექმნილია გარე აუდიტორის დამოუკიდებლობის რეგულაციების (მაგ., რეგულაციებით ან პროფესიული მოთხოვნებით დადგენილი) ნებისმიერი დარღვევის შესახებ შეტყობინებისთვის, სადაც დარღვევას აქვს გავლენა სხვა ტერიტორიაზე (მაგ., როდესაც დარღვევა ხდება ერთ ტერიტორიაზე, რაც გავლენას ახდენს სხვა ტერიტორიაზე არსებულ აუდიტის ურთიერთობაზე). ყველა შეტყობინებული დარღვევა შეფასდება და განიხილება კოდექსის, ან რელევანტური დამოუკიდებლობის რეგულაციების შესაბამისად.

PwC საქართველოს ასევე აქვს საქართველოს სპეციფიკური რამდენიმე სისტემა, მათ შორის:

- როტაციის თვალყურის დევნების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს PwC საქართველოს აუდიტის როტაციის პოლიტიკის დაცვას, გარიგების პარტნიორებისთვის და აუდიტში ჩართული სხვა ძირითადი პარტნიორებისთვის.

დამოუკიდებლობის ტრენინგი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია

PwC საქართველო, ყველა პარტნიორისთვის და პრაქტიკოსი თანამშრომლისთვის უზრუნველყოფს ყოველწლიურ ან მიმდინარე ტრენინგს დამოუკიდებლობის საკითხებში. სწავლება, როგორც წესი, ფოკუსირებულია პოზიციის ან როლის ცვლილებაზე, პოლიტიკის ან გარე რეგულაციების ცვლილებებზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ყველა პარტნიორი და პრაქტიკოსი თანამშრომელი ვალდებულია შეავსოს ყოველწლიური შესაბამისობის მადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც ისინი ადასტურებენ შესაბამისობას PwC ფირმის დამოუკიდებლობის პოლიტიკის შესაბამის ასპექტებთან, მათ შორის საკუთარ პირად დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, ყველა პარტნიორი ადასტურებს, რომ ნებისმიერი არააუდიტორული მომსახურება და საქმიანი ურთიერთობა, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი, შეესაბამება პოლიტიკას და რომ ამ გარიგებებისა და ურთიერთობების მიღებისას დაცულია საჭირო პროცესები. ამ ყოველწლიურ მადასტურებელ დოკუმენტაციას ასევე ემატება პერიოდული და ერთჯერადი გარიგების დონისთვის საჭირო მადასტურებელი დოკუმენტაცია.



ხელმძღვანელობის განცხადება დამოუკიდებლობის პრაქტიკისა და მიმოხილვის შესახებ

PwC საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პროცედურები შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს.

დამოუკიდებლობის შესაბამისობის ბოლო შიდა მიმოხილვა CEE-ზე რეგიონის მასშტაბით 2025 წლის აპრილში დასრულდა.

დამოუკიდებლობის მონიტორინგი და დისციპლინური პოლიტიკა

PwC საქართველო დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მართვისას პასუხისმგებელია მისი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის მონიტორინგზე. ზემოთ აღწერილი მადასტურებელი დოკუმენტაციის გარდა, ამ მონიტორინგის ფარგლებში, ვასრულებთ:

- დამოუკიდებლობის კონტროლისა და პროცესების შესაბამისობის ტესტირებას;
- დამოუკიდებლობის პოლიტიკის დაცვის მონიტორინგის მიზნით, სულ მცირე, პარტნიორებისა და პრაქტიკოსი მენეჯერების შემთხვევით შერჩევას პირადი დამოუკიდებლობის შესაბამისობის ტესტირებისთვის; და
- ჩვენი ფირმის მიერ PwC ქსელის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სტანდარტის დაცვის ყოველწლიურ შეფასებას.

PwC საქართველოს მონიტორინგისა და ტესტირების შედეგები რეგულარულად ეცნობება, ხოლო შეჯამება ყოველწლიურად ეგზავნება კომპანიის ხელმძღვანელობას.

აუდიტის ძირითადი პარტნიორებისა და პერსონალის როტაცია

საზოგადოებრივი დაინტერესების პირის აუდიტთან დაკავშირებით, აუდიტის ძირითადი პარტნიორის (KAP) მომსახურების მაქსიმალური ვადაა 7 წელი და ამ დროის გასვლის შემდეგ, პირი არ უნდა იყოს აუდიტის გარიგების გუნდის წევრი ან კლიენტის აუდიტის ძირითადი პარტნიორი 5 წლის განმავლობაში. ამ პერიოდის განმავლობაში, ის არ უნდა მონაწილეობდეს საწარმოს აუდიტში, არ უნდა უზრუნველყოფდეს გარიგების ხარისხის კონტროლს, არ უნდა ითანამშრომლოს გარიგების გუნდთან ან კლიენტთან ტექნიკურ ან ინდუსტრიისთვის სპეციფიკურ საკითხებთან, ტრანზაქციებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით, ან სხვაგვარად არ უნდა მოახდინოს პირდაპირი გავლენა გარიგების შედეგზე.

PwC საქართველოს აქვს აღიარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა და დამხმარე დისციპლინური პოლიტიკა და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს დამოუკიდებლობის პოლიტიკისა და პროცესების დაცვას და მოითხოვს დამოუკიდებლობის მოთხოვნების ნებისმიერი დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათზე რეაგირებას.

ეს მოიცავს დარღვევის ხასიათის კლიენტის აუდიტის კომიტეტთან განხილვას, დარღვევის PwC ფირმისა და გარიგების გუნდის დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების შეფასებას და ობიექტურობის შესანარჩუნებლად ქმედებების ან დამცავი ზომების მიღების საჭიროებას. მიუხედავად იმისა, რომ დარღვევების უმეტესობა უმნიშვნელოა და დაუდევრობას უკავშირდება, თითოეული მათგანი სერიოზულად აღიქმება და მისი შესაბამისი გამოკვლევა ტარდება. დამოუკიდებლობის პოლიტიკის ნებისმიერი გამოვლენილი დარღვევის გამოკვლევა ასევე ემსახურება PwC საქართველოს სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესებას, ასევე დამატებითი სახელმძღვანელო მითითებებისა და ტრენინგის საჭიროების იდენტიფიცირებას.

იგივე პოლიტიკა ვრცელდება კლიენტისთვის დანიშნულ კვალიფიციურ კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორზეც. წევრმა ფირმამ შექმნა შესაბამისი თანდათანობითი როტაციის მექანიზმი კანონით სავალდებულო აუდიტში ჩართული უმაღლესი დონის პერსონალის მიმართ, სულ მცირე, კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორებად რეგისტრირებული პირებისთვის. თანდათანობითი როტაციის მექანიზმი გამოიყენება ეტაპობრივად, პიროვნებების დონეზე და არა მთელი გარიგების გუნდისთვის.



აუდიტის ჩატარებისას გასათვალისწინებელი საკითხები



ჩვენი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავს, ავიყვანოთ თუ არა ახალი კლიენტი, ამ გავაგრძელოთ თუ არა არსებული კლიენტის მომსახურება - ფუნდამენტურია ხარისხის უზრუნველსაყოფად, რაც, ჩვენი აზრით, მჭიდრო კავშირშია ჩვენს საზოგადოებაში ნდობის ამაღლების მიზანთან. შევიმუშავეთ პოლიტიკა და პროცედურები კლიენტებთან ურთიერთობებისა და აუდიტის გარიგებების დათანხმების დადასტურებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს, ვართ თუ არა კომპეტენტურები გარიგების შესასრულებლად და გვაქვს თუ არა ამისათვის საჭირო შესაძლებლობები, მათ შორის დრო და რესურსები, შეგვიძლია თუ არა შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვა, მათ შორის დამოუკიდებლობის, ასევე, სათანადოდ გავითვალისწინეთ თუ არა კლიენტის კეთილსინდისიერება. ხელახლა ვაფასებთ ამ მოსაზრებებს იმის დასადგენად, უნდა გავაგრძელოთ თუ არა კლიენტთან ურთიერთობა და გვაქვს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია საჭიროების შემთხვევაში გარიგებიდან, ან კლიენტთან ურთიერთობიდან გასვლასთან. პოლიტიკა და პროცესები, რომელიც გვაქვს, ხაზს უსვამს რისკისა და ხარისხის გათვალისწინებას ისე, რომ ფინანსური და ოპერაციული პრიორიტეტები არ იყოს მიზეზი კლიენტთან ურთიერთობის დათანხმების ან გაგრძელების შესახებ არასათანადო გადაწყვეტილებების მიღების.

კლიენტსა და გარიგებაზე დათანხმება და გაგრძელება



PwC საქართველო იყენებს PwC ქსელის Salesforce-ის რისკისა და დამოუკიდებლობის მოდულს („Acceptance“). ამ სისტემის საშუალებით ხდება მისაღები კლიენტების იდენტიფიცირება, აუდიტის კლიენტების მიღებისა და შენარჩუნების პროცესების მართვა. მიღების/დათანხმების პროცესი ხელს უწყობს გარიგების გუნდის, ბიზნესის მართვისა და რისკების მართვის სპეციალისტების მიერ იმის გამოვლენას, მართვადია თუ არა არსებულ კლიენტთან, ან პოტენციურ კლიენტთან დაკავშირებული რისკები და უნდა იყოს თუ არა PwC დაკავშირებული ამ კონკრეტულ კლიენტთან და მის ხელმძღვანელობასთან. უფრო კონკრეტულად, ეს სისტემა საშუალებას აძლევს:

გარიგების გუნდებს:

- დოკუმენტურად დააფიქსირონ მათი მოსაზრება საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული სტანდარტებით გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებასთან;
- გამოავლინონ და დოკუმენტურად ასახონ საკითხები, ან რისკ-ფაქტორები და მათი გადაჭრის გზები, მაგალითად, კონსულტაციის გზით, რესურსების გეგმის ან აუდიტის მიდგომის კორექტირებით, ან გამოვლენილი რისკების შესამცირებლად სხვა დამცავი ზომების დანერგვით, ან გარიგების შესრულებაზე უარის თქმის გზით; და
- ხელი შეუწყონ კლიენტის და გარიგებების დათანხმებასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას.

PwC ფირმებს (მათ შორის PwC ფირმის ხელმძღვანელობას და რისკების მართვის გუნდს):

- ხელი შეუწყოს კლიენტების და გარიგებების დათანხმებასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას;
- უზრუნველყონ კლიენტების და გარიგებების დათანხმებასთან ან გაგრძელებასთან დაკავშირებული რისკების მიმოხილვა კლიენტების პორტფელში; და
- გაიაზრონ მეთოდოლოგია, საფუძველი და მინიმალური მოსაზრებები, რომლებიც ქსელში შემავალმა ყველა სხვა PwC ფირმამ გამოიყენა აუდიტზე დათანხმებისა და გაგრძელების შეფასებისას.

4

ჩვენი თანამშრომლები

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ჩვენი თანამშრომლები

თანამშრომლობის სტრატეგია



ჩვენი მიზანია, ვიყოთ მსოფლიოში წამყვანი ფირმა საკადრო პოტენციალის განვითარების მხრივ და ჩვენს თანამშრომლებს შევთავაზოთ მეტი მოქნილობა და თავდაჯერებულობა სწრაფად ცვალებად სამყაროში. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ცვლილებების დროს მდგრადი საფუძვლის შექმნას ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობის მხარდაჭერისა და ეფექტური მუშაობის ხელშეწყობის გზით; ინკლუზიური ლიდერების განვითარებას ცვალებადი სამყაროს პირობებში; და ჩვენი სამუშაო ძალის მომზადებას დღევანდელი რეალობისა და ხვალინდელი შესაძლებლობებისთვის.

PwC პროფესიონალი




PwC-ის პროფესიონალი წარმოადგენს ქცევების ერთობლიობას, რომლის გამოვლენასაც ყველა ჩვენი თანამშრომლისგან, ყველა დონეზე ველით ერთმანეთთან, ჩვენს კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას. როდესაც ვამახვილებთ ყურადღებას ქცევებზე, რომლებიც ჩვენს ურთიერთქმედებას წარმართავს, ვკმნით შესაძლებლობებს ნდობის მოსაპოვებლად და ვამღებთ ჩვენს გუნდებს საშუალებას მიაღწიონ გამორჩეულ შედეგებს. ამგვარად ვაშენებთ ნდობას საზოგადოებაში და ვწყვეტთ მნიშვნელოვან პრობლემებს.

აუდიტის ხარისხის საზომები



- პერსონალის შენარჩუნების საშუალო მაჩვენებელი
- პარტნიორისა და მენეჯერის მიერ დათმობილი საათები გარიგების საერთო საათებთან მიმართებაში
- პროექტის მართვის/აუდიტის ფაზირების საზომი მაჩვენებელი, მაგალითად, პერიოდის ბოლოს, დაგეგმილი და ფაქტობრივი საათების შედარება ბიუჯეტირებულ საათებთან



ინკლუზიურობა და მრავალფეროვნება

PwC წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ხელს უწყობს კუთვნილების და თანასწორობის კულტურას, სადაც ჩვენი მრავალფეროვანი გუნდი ვითარდება, წარმატებას აღწევს და თავს ორგანიზაციის სრულფასოვან ნაწილად გრძნობს. ამ მოცემულობას ჩვენი „ინკლუზიურობა პირველ რიგში“ სტრატეგიის განხორციელებით ვქმნით, რომელიც ორიენტირებულია მოქმედებაზე, ანგარიშვალდებულებასა და ინტერესთა დაცვაზე ჩვენს თითოეულ წევრ ფირმაში, მთელი PwC ქსელის მასშტაბით.

ვიღებთ და მივცალმებით განსხვავებებს და ვებმარებით ჩვენს თანამშრომლებს აქტიურად განვითარონ უნარები ინკლუზიურად მუშაობისა და ხელმძღვანელობისთვის, ძირითადი აქცენტით გენდერულ თანასწორობაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიაზე, ლგბტ+ თემის ინკლუზიასა და სოციალურ ინკლუზიაზე. ამის საფუძველი ჩვენი სისტემებისა და ქცევების ინკლუზიურობის უზრუნველყოფაა.

თანამშრომელთა დაქირავება

PwC საქართველოს მიზანია საუკეთესო და ყველაზე ნიჭიერი თანამშრომლების დაქირავება, გადამზადება, განვითარება და შენარჩუნება, რომლებიც იზიარებენ კომპანიის პასუხისმგებლობას მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით. ჩვენი სამსახურში აყვანის სტანდარტები მოიცავს სტრუქტურირებულ გასაუბრების პროცესს ქცევაზე დაფუძნებული კითხვებით, რომელიც შედგენილია PwC-ის პროფესიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, ასევე აკადემიური მოსწრების შეფასებას და ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმებას. 2025 ფინანსურ წელს, მთელი კომპანიის მასშტაბით, 26 ახალი თანამშრომელი დავასაქმეთ, მათ შორის 10 უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (სტაჟიორების ჩათვლით).

გუნდის შერჩევა, გამოცდილება და ზედამხედველობა

ჩვენი აუდიტის გარიგებები დაკომპლექტებულია ექსპერტიზის, შესაძლებლობებისა და გამოცდილების წლების საფუძველზე. გარიგების ლიდერები განსაზღვრავენ უმცროსი პერსონალის ხელმძღვანელობის, ზედამხედველობისა და გადახედვის დონეს.

უკუკავშირი და უწყვეტი განვითარება

ჩვენი გუნდის წევრები იღებენ უკუკავშირის მათი საერთო სამუშაოს შესრულების შედეგების შესახებ, მათ შორის აუდიტის ხარისხთან დაკავშირებული ფაქტორების, როგორცაა ტექნიკური ცოდნა, აუდიტის უნარები და პროფესიული სკეპტიციზმი. აუდიტის ხარისხი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამშრომლის შეფასებისა და კარიერული წინსვლის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც ჩვენი პარტნიორებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. თანამშრომლის შეფასებისა და პროგრესის შესახებ უკუკავშირი გროვდება ჩვენი გლობალური უკუკავშირის მიმოცვლის (Feedback Exchange) ინსტრუმენტის მეშვეობით. უკუკავშირის შესახებ მუდმივი საუბრები ეხმარება ჩვენს თანამშრომლებს უფრო სწრაფად ზრდასა და სწავლაში, ახალ და რთულ გარემოში ადაპტირებაში და საუკეთესო უზრუნველყოფაში ჩვენი კლიენტებისა და ფირმისთვის.

კარიერული წინსვლა

PwC საქართველო იყენებს „PwC პროფესიონალს“, კარიერული წინსვლის ჩვენს გლობალურ სისტემას, რომელიც აყალიბებს მკაფიო მოლოდინებს ყველა თანამშრომელთან დაკავშირებით ხუთი ძირითადი განზომილების მიხედვით. სისტემა საფუძვლად უდევს კარიერული განვითარების ყველა ელემენტს და ეხმარება ჩვენს თანამშრომლებს განვითარდნენ სრულყოფილ პროფესიონალებად და ლიდერებად, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობები და თავდაჯერებულობა, რომ შეასრულონ მაღალი ხარისხის სამუშაო, შესთავაზონ ჩვენს კლიენტებს ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული გამოცდილება, განახორციელონ ჩვენი სტრატეგია და მხარი დაუჭირონ ჩვენს ბრენდს. ჩვენი ყოველწლიური თანამშრომლის შეფასების ციკლი მხარდაჭერილია უწყვეტი უკუკავშირითან დაკავშირებული საუბრებით და ინდივიდის გუნდის ლიდერთან რეგულარული კონსულტაციებით, რათა განხილული იყოს მათი განვითარება, წინსვლა და შეფასება.

თანამშრომლების შენარჩუნება

აღრიცხვის პროფესიაში კადრების მოძრაობის მაჩვენებელი ხშირად მაღალია, რადგან აღრიცხვის სტანდარტებისა და რეგულაციების ცვლილებასთან ერთად, ბუღალტრებზე მოთხოვნა იზრდება და ჩვენს მიერ შეთავაზებული განვითარების გამოცდილება ჩვენს თანამშრომლებს გარე ბაზარზე მოთხოვნადს ხდის. ჩვენი თანამშრომლებების ნებაყოფლობითი მოძრაობის მაჩვენებელი მერყეობს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის ნიჭიერ კადრებზე ბაზრის მოთხოვნა.

თანამშრომლების გლობალური გამოკითხვა

PwC-ის თითოეული ფირმა მონაწილეობს ყოველწლიურ თანამშრომლების გლობალურ გამოკითხვაში, რომელიც ქსელის მასშტაბით ტარდება ჩვენი ყველა პარტნიორისა და თანამშრომლისთვის. PwC საქართველო პასუხისმგებელია შედეგების ადგილობრივად ანალიზისა და კომუნიკაციაზე, ასევე უკუკავშირზე რეაგირებისთვის მკაფიოდ განსაზღვრულ ქმედებებზე.

სწავლა და განათლება

პროფესიული განვითარება



ჩვენ ვცდილობთ, სწორი ადამიანები საჭირო ადგილას და საჭირო დროს განვათავსოთ. ჩვენ თანამშრომლებს, კარიერის განმავლობაში, ეძლევათ კარიერული განვითარების შესაძლებლობები, საკლასო, ვირტუალური და მოთხოვნისამებრ სწავლება, ასევე სამუშაო ადგილზე რეალურ დროში ქოუჩინგი/განვითარება. ჩვენი მოქნილი სასწავლო პორტფელი ხელს უწყობს პერსონალიზებულ სწავლებას სხვადასხვა საგანმანათლებლო მასალაზე წვდომით, მათ შორისაა ვებგადაცემები, პოდკასტები სტატიები, ვიდეოები და კურსები.

პროფესიული კვალიფიკაციის მოპოვება მხარს უჭერს ჩვენი ფირმის ერთგულებას ხარისხის მიმართ თანმიმდევრული გამოცდებისა და სერტიფიცირების სტანდარტების მეშვეობით. ჩვენი მიზანია, ჩვენს თანამშრომლებს შევთავაზოთ დაწინაურების უფრო ინდივიდუალური გზა და დაეხმაროთ მათ პროფესიული გამოცდებისთვის მომზადებისას დროის პრიორიტეტულობის განსაზღვრასა და უფრო ეფექტურად მართვაში. ჩვენი თანამშრომლებისთვის პროფესიული და პირადი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჩვენი პერსონალის გამოცდილებისა და შენარჩუნების სტრატეგიის კრიტიკული კომპონენტია.

კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება

PwC საქართველოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჩვენი აუდიტორები სრულად არიან ჩართულნი ფირმის უწყვეტი განათლების პროგრამაში.

რეგისტრირებულმა აუდიტორებმა ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ მინიმუმ 120 საათიანი სწავლება და წელიწადში მინიმუმ 30 საათიანი ტრენინგი.

აუდიტის ხარისხის საზომები



- ტრენინგების საათების საშუალო რაოდენობა თითოეულ აუდიტორზე
- ტრენინგზე სავალდებულო დასწრება

უწყვეტი განათლება



ჩვენ და PwC-ის სხვა ფირმები ვალდებული ვართ, შევთავაზოთ ხარისხიანი მარწმუნებელი მომსახურება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ქსელში თანმიმდევრულობის მაქსიმიზაციის მიზნით, ქსელის დონეზე შემუშავებული ფორმალური სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე წვდომას, რომლებიც მოიცავს PwC-ის აუდიტის მიდგომასა და ინსტრუმენტებს, ასევე აუდიტის რისკის სფეროებს და ხარისხის გაუმჯობესების სფეროებს.

ფორმალური სწავლება ხორციელდება სწავლების სხვადასხვა მიდგომების გამოყენებით, რაც მოიცავს დისტანციურ წვდომას, საკლასო სწავლებას, ვირტუალურ საკლასო ოთახს და სამუშაო ადგილზე მხარდაჭერას. სასწავლო გეგმა მხარს უჭერს ჩვენი ძირითადი სასწავლო მიზნის - ხარისხის მიღწევას და ამავდროულად, პრაქტიკოსებს აძლევს შესაძლებლობას, გააძლიერონ თავიანთი ტექნიკური და პროფესიული უნარები, მათ შორის პროფესიული განსჯა სკეპტიკური აზროვნების გამოყენებისას.

სასწავლო პროგრამების სტრუქტურა გვაძლევს შესაძლებლობას, ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით თავად დავგეგმოთ და შევარჩიოთ ტრენინგის ჩატარების დრო. შემდეგ ჩვენი სწავლისა და განათლების ხელმძღვანელი განიხილავს, თუ რომელი დამატებითი ტრენინგია შესაფერისი - ფორმალური და/ან არაფორმალური - ნებისმიერი დამატებითი კონკრეტული ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

თანამშრომელთა სწავლებაში ინვესტირება

აუდიტის ტრენინგი ფინ.წ.24

პარტნიორების და პერსონალის ტრენინგების საათების რაოდენობა

27
ონლაინ

49
საკლასო

72
სულ

ფინ.წ. 24 საათების საერთო ჯამი
5,405

აუდიტის ტრენინგი ფინ.წ.25

პარტნიორების და პერსონალის ტრენინგების საათების რაოდენობა

29
ონლაინ

46
საკლასო

73
სულ

ფინ.წ. 25 საათების საერთო ჯამი
5,134

ტრენინგზე
სავალდებულო
დასწრება

100%

2025 ფინანსურ წელს
პარტნიორებისა და
თანამშრომლების 100%-მა
გაიარა ყველა სავალდებულო
ტრენინგი

5

ჩვენი მიდგომა

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ჩვენი მიდგომა



როგორც PwC ქსელის წევრს, PwC საქართველოს აქვს წვდომა და იყენებს PwC Audit-ს, აუდიტის საერთო მეთოდოლოგიასა და პროცესს. ეს მეთოდოლოგია ეფუძნება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს (ISA), საჭიროების შემთხვევაში კი PwC-ის დამატებით პოლიტიკასა და ინსტრუქციებს. PwC Audit-ის პოლიტიკა და პროცედურები შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს აუდიტის ჩატარებას ISA-ს ყველა მოთხოვნის შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია თითოეული ინდივიდუალური აუდიტის გარიგებისთვის. ჩვენი აუდიტის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრუქტურას, რომელიც PwC ფირმებს საშუალებას აძლევს, ყველა ასპექტში თანმიმდევრულად დაიცვან მოქმედი პროფესიული სტანდარტები, რეგულაციები და საკანონმდებლო მოთხოვნები.



ჩვენი აუდიტის მხარდამჭერი ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები

ჩვენი ტექნოლოგია

Aura, ჩვენი აუდიტის დოკუმენტირების გლობალური პლატფორმა, გამოიყენება PwC-ის ქსელის მასშტაბით. Aura გვეხმარება ჩვენი აუდიტის გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში, გუნდებისთვის ჩვენი მეთოდოლოგიის ეფექტურად გამოყენების მხარდაჭერის გზით; რისკებს, საჭირო პროცედურებს, კონტროლსა და ამ რისკებზე რეაგირებისთვის შესრულებულ სამუშაოს შორის გამჭვირვალე კავშირის შექმნის გზით, ასევე ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო მითითებების და პროექტის მართვის შესაძლებლობების მიწოდების გზით. მიზნობრივი აუდიტის გეგმები განსაზღვრავს რისკის დონეებს, კონტროლის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას და მოიცავს არსობრივ ტესტირებას. საინფორმაციო პანელები რეალური დროის რეჟიმში უფრო სწრაფად აჩვენებს გუნდებს აუდიტის პროგრესს და აუდიტის მასშტაბის დადგენის გადაწყვეტილებების გავლენას.

Connect არის ჩვენი კოლაბორაციული პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტებს სწრაფად და უსაფრთხოდ გააზიარონ აუდიტის დოკუმენტები და საბოლოო დოკუმენტები. **Connect** ასევე ამსუბუქებს მიწოდებული შედეგების სტატუსის თვალყურის დევნებასა და პრობლემების გადაჭრას, აუდიტის მეშვეობით გამოვლენილი შეუსრულებელი საკითხებისა და პრობლემების ავტომატურად აღნიშვნის და თვალყურის დევნების გზით, რათა მოხდეს მათზე მყისიერი რეაგირება და საკითხის გადაწყვეტა. კლიენტებს ასევე შეუძლიათ რეალურ დროში ნახონ აუდიტის კორექტირებები, კონტროლის ხარვეზები და აუდიტის პროგრესი ყველა ლოკაციისთვის.

მონაცემთა აუდიტის ჩვენი ინსტრუმენტი - **Halo**, დიდი მოცულობის მონაცემებს ამუშავებს და ანალიზებს მონაცემთა კლასებს რისკის შეფასების, ანალიზისა და ტესტირების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, Halo for Journals საშუალებას იძლევა განხორციელდეს შესაბამისი ჩანაწერების იდენტიფიცირება განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც გარიგების გუნდებისთვის აადვილებს მონაცემების შესწავლასა და ვიზუალიზაციას, კლიენტის საჭურნალო ჩანაწერების იდენტიფიცირებას ანალიზისა და ტესტირების პროცესის დასაწყებად.

Halo პლატფორმა ჩვენს გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს ერთი ცენტრალური ადგილმდებარეობის მეშვეობით მართონ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი, მონაცემების ამოღება, დამუშავება და შენახვა ყველა აპლიკაციისთვის, რაც ჩვენს გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს, აკონტროლონ მონაცემთა ატვირთვის სტატუსი და აუდიტის დროს გამოიყენონ საწარმოსგან მიღებული მონაცემები მრავალჯერადად.

ჩვენი ახალი თაობის აუდიტი (NGA)

ნდობის განმტკიცებისა და მდგრადი შედეგების მიღწევის მიმართ ჩვენი ვალდებულების ფარგლებში, PwC-ის ქსელი ინვესტირებას ახორციელებს მრავალწლიან პროგრამაში, რათა შექმნას აუდიტის ახალი, გლობალური პლატფორმა, რომელიც განამტკიცებს ჩვენი ახალი თაობის აუდიტს და საბოლოოდ ჩაანაცვლებს ამჟამინდელ ტექნოლოგიებს, როგორცაა Aura და Connect. ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირებისა და მათი შესწავლის, ასევე აუდიტის ძირითადი პროცესების ხელახლა განსაზღვრის გზით, PwC კიდევ უფრო მეტად შეძლებს ჩვენი აუდიტის სამუშაოს სტანდარტიზაციას, გამარტივებას, ცენტრალიზებას და ავტომატიზაციას.

PwC-ის ეს ინვესტიცია დააჩქარებს მიმდინარე ინიციატივებს და საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ დაინტერესებული მხარეების ცვალებად საჭიროებებს, ამავდროულად დაგვეხმარება გამოვიყენოთ ახალი ტექნოლოგიები, მათ შორის გენერაციული ხელოვნური ინტელექტი, რაც უზრუნველყოფს ტრანსფორმირებული აუდიტის გამოცდილებას, რომელიც ორიენტირებულია ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. PwC-ის ხედვა ახალი თაობის აუდიტის (NGA) შესახებ არის, ის, რომ მან უზრუნველყოს ეფექტური, სანდო და დამოუკიდებელი რწმუნება თუ აუდიტის ანალიზი ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციაზე, რაც ხელს შეუწყობს ნდობის ჩამოყალიბებას ჩვენი დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ვინაიდან PwC ახალი თაობის აუდიტის პროგრამის ირგვლივ განვითარებას სწრაფად განაგრძობს, ჩვენ ასევე გავაგრძელებთ ახალი შესაძლებლობების დანერგვას ხარისხისა და აუდიტის საერთო გამოცდილების გასაუმჯობესებლად.

PwC-ის ქსელში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტში, რადგან ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ახალი წარმოდგენა, თუ როგორ შეგვიძლია კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ჩვენი თანამშრომლებისთვის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ჩვენ ორიენტირებულები ვართ ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენების კულტურის ხელშეწყობაზე, ამავდროულად, ვუჭერთ მხარს ხელოვნურ ინტელექტთან, ასევე გენერაციულ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ უწყვეტ ინტერესსა და სწრაფად განვითარებად პოტენციური გამოყენების შემთხვევებს.



ჩვენმა ფირმამ შეიმუშავა და დანერგა პროცესები და კონტროლის მექანიზმები აღნიშნული აუდიტის ტექნოლოგიების სანდოობის გასაძლიერებლად. ეს მოიცავს აუდიტის ტექნოლოგიების მფლობელებისა და მომხმარებლების როლებისა და პასუხისმგებლობების ნათლად წარმოჩენას. გარდა ამისა, გვაქვს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ამ აუდიტის ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაო დოკუმენტებში შეტანილი აუდიტის დოკუმენტაციის საკმარისობაზე, მათ შორის პრობლემის გადაწყვეტის სანდოობის გათვალისწინებაზე და დოკუმენტაციაზე, რომელიც საჭიროა დოკუმენტაციის გადამხედველისათვის მისი კოორდინაციის, ზედამხედველობისა და გადახედვის პასუხისმგებლობების შესრულებაში, როგორც ეს აუდიტის ჩვეულებრივი მიმდინარეობის ნაწილი.

კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება



კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება ჩვენი პროფესიული პასუხისმგებლობების მთავარი ელემენტებია. კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენებამ ან დაკარგვამ შეიძლება ფირმა სასამართლო პროცესების წინაშე დააყენოს და ასევე, უარყოფითად იმოქმედოს ჩვენს რეპუტაციაზე. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით კონფიდენციალური და პერსონალური მონაცემების დაცვას.

ჩვენი აქცენტს კლიენტებზე, მოითხოვს კომპლექსურ და კოლაბორაციულ მიდგომას უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის რისკების შესამცირებლად, შესაბამის კონტროლსა და მონიტორინგში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებით, რათა დაინერგოს თავდაცვის სამი ხაზის ეფექტური მოდელი. ამ მოდელმა საშუალება მოგვცა გაგვეძლიერებინა ჩვენი ინფორმაციული უსაფრთხოების ორგანიზება, შესაბამისობაში მოგვეყვანა დარგის საუკეთესო პრაქტიკასთან და გაგვეუმჯობესებინა ჩვენი შიდა კონტროლის სისტემები.

მონაცემთა კონფიდენციალურობა

ფირმა, პერსონალური მონაცემების მართვისადმი ინარჩუნებს მკაცრ და თანმიმდევრულ მიდგომას, სადაც ჩვენი ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს აქვს მისი როლი პერსონალური მონაცემების დაცვაში. ჩვენ ვეყრდნობით ჩვენს ფართომასშტაბიან GDPR შესაბამისობის პროგრამას, ასევე პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას და ვალდებულნი ვართ, ჩვენს ბიზნესში დავეწვრთოთ მონაცემთა მართვის საუკეთესო პრაქტიკა.

ინფორმაციული უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოება PwC ქსელისთვის ძლიერი პრიორიტეტია. ჩვენი ფირმა ანგარიშვალდებულია ჩვენი თანამშრომლების, კლიენტების, მომწოდებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წინაშე, დაიცვას ჩვენთვის მონდობილი ინფორმაცია. ინფორმაციის დაუცველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს იმ პირებს, რომელთა შესახებ ინფორმაციასაც ჩვენი ფირმა ფლობს, გამოიწვიოს ჩვენი ფირმისთვის მარეგულირებლის მიერ სანქციების დაწესება, ან სხვა ფინანსური ზარალი და გავლენა მოახდინოს PwC-ის რეპუტაციასა და ბრენდზე. შესაბამისად, ჩვენი ფირმა იცავს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს PwC-ის თითოეული ფირმის მინიმალური უსაფრთხოების მოთხოვნებს.



გარიგების შესრულების მხარდაჭერა




განვითარებადი მიწოდების მოდელი

ვაგრძელებთ ჩვენი მომსახურების მიწოდების მეთოდების განვითარებას, რათა ჩვენმა თანამშრომლებმა ჩვენს კლიენტებს კიდევ უფრო უკეთესი გამოცდილება შესთავაზონ, კიდევ უფრო გააუმჯობესონ ჩვენი საქმიანობის ხარისხი და შექმნან ეკონომიკური შესაძლებლობები სამომავლო ინვესტირებისთვის. ვიყენებთ მომსახურების მიწოდების ცენტრებს აუდიტის გარკვეული ნაწილების გამარტივებისთვის, სტანდარტიზაციისთვის, ავტომატიზაციისა და ცენტრალიზაციისთვის.



ხელმძღვანელობა, ქოუჩინგი და მეთვალყურეობა

გარიგების ხელმძღვანელები და გარიგების გუნდის უფროსი წევრები პასუხისმგებელნი არიან ხარისხიანი რჩევა-დარიგებებით უზრუნველყოფაზე მთელი აუდიტის განმავლობაში და გუნდის უმცროსი წევრების მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობაზე, გუნდის ქოუჩინგსა და აუდიტის ხარისხის შენარჩუნებაზე. გუნდები იყენებენ Aura-ს, რომელსაც აქვს გარიგების პროგრესის ეფექტური მონიტორინგის შესაძლებლობები, რათა დარწმუნდნენ, რომ ყველა სამუშაო დასრულებულია და გადახედილია შესაბამისი პირების, მათ შორის გარიგების ხელმძღვანელის მიერ.



კონსულტაციების კულტურა

კონსულტაცია აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფაში მთავარ როლს ასრულებს. ხარისხის უზრუნველსაყოფად გვაქვს ფორმალური პროტოკოლები სავალდებულო კონსულტაციების შესახებ. მაგალითად, ჩვენი გარიგების გუნდები კონსულტაციებს გადიან შესაბამის ჯგუფებთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაბეგვრა, რისკები, შეფასება, აქტუარული თუ სხვა სპეციალიზაციები, ასევე ჩვენი რეგიონული რისკების მართვისა და ხარისხის (R&Q) გუნდის წევრებთან.



რისკი და ხარისხი – ტექნიკური ფუნქცია

რისკებისა და ხარისხის მართვა მოიცავს აუდიტის, აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სპეციალისტებს. ეს სპეციალისტები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ სფეროებში ჩვენი პოლიტიკის შენარჩუნებასა და განახლებაში, ახალი აღრიცხვისა და აუდიტის კანონმდებლობის თვალყურის დევნების და ამ ინფორმაციის თანამშრომლებში გავრცელების გზით.



აზრთა სხვადასხვაობა

არსებობს პროტოკოლები იმ სიტუაციების მოსაგვარებლად, როდესაც აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშობა გარიგების ხელმძღვანელსა, სხვა აუდიტის პარტნიორს ან ისეთ ცენტრალურ ფუნქციებს შორის, როგორიცაა აუდიტის სერვისები ან კორპორაციული ანგარიშგების სერვისები. ეს მოიცავს ისეთი ტექნიკური პანელების გამოყენებას, რომლებიც შედგება გარიგებისგან დამოუკიდებელი პარტნიორებისგან.

6

მონიტორინგი

ხელმძღვანელობის ჩვენი კულტურა და ჩვენი ჩვენი მონიტორინგი PwC ქსელი სამართლებრივი და
გზავნილი ხარისხისადმი ღირებულებები თანამშრომლები მიდგომა მმართველობითი
მიდგომა სტრუქტურა

მონიტორინგი

მარწმუნებელი მომსახურების ხარისხის მონიტორინგი



ვადიარებთ, რომ კლიენტებისთვის მიწოდებული მარწმუნებელი მომსახურების ხარისხი გადამწყვეტია ინვესტირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ნდობის შესანარჩუნებლად ჩვენი სამუშაოს კეთილსინდისიერების მიმართ. ეს ჩვენი მარწმუნებელი მომსახურების სტრატეგიის მთავარი ელემენტია.

ხარისხის სათანადო მართვის პასუხისმგებლობა PwC საქართველოს ხელმძღვანელობას ეკისრება. ეს მოიცავს ეფექტური ხარისხის მართვის სისტემის (SoQM) შემუშავებას და ფუნქციონირებას, რომელიც მომსახურების სრულყოფილებისთვის ხარისხის მართვის სისტემის (QMSE) გამოყენებით უპასუხებს ჩვენს სპეციფიკურ რისკებს, რომლებიც უკავშირდება ხარისხიანი აუდიტის გარიგებების შესრულებას.

QMSE-ის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის საერთო მიზანია, ჩვენს ფირმაში არსებობდეს საჭირო შესაძლებლობები და თანამშრომლებმა ჩვენი მეთოდოლოგიები, პროცესები და ტექნოლოგიები თანმიმდევრულად გამოიყენონ მარწმუნებელი მომსახურების ეფექტურად შესრულებისას, რათა დაკმაყოფილდეს ჩვენი კლიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოლოდინები.

ჩვენი ფირმის მონიტორინგი მოიცავს მიმდინარე შეფასებას, რომლის მიზანია შეფასდეს, არის თუ არა ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის შემადგენელი პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისად შემუშავებული და ეფექტურად ფუნქციონირებს თუ არა გონივრული რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენი აუდიტის, არააუდიტორული რწმუნების და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა ხორციელდება კანონების, რეგულაციებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად (ასევე მოხსენიებული, როგორც ჩვენი მიმდინარე მონიტორინგი). მონიტორინგი ასევე მოიცავს რეალურ დროში რწმუნების გამოყენებას.

აუდიტის ხარისხის საზომები



- ECR-ების ჯამური რაოდენობა
- ECR-ების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია, როგორც შესაბამისი, შესაბამისი, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას და შეუსაბამო
- ECR-ები, რომლებიც შეფასებულია, როგორც შესაბამისი, შესაბამისი, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, ან შეუსაბამო, ECR-ების საერთო რაოდენობასთან (%) მიმართებაში
- არსებითი შეცდომის გამო ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშების რაოდენობა, რომლებიც მოიცავს საზოგადოებრივი დაინტერესების პირების აუდიტს
- სააღრიცხვო შეცდომების სიხშირე და გავლენა (რამაც შეიძლება არ გამოიწვიოს გადაანგარიშებები)

პრევენციის მიზანი: რეალურ დროში აუდიტი



ჩვენ შევიმუშავეთ რეალურ დროში აუდიტის (RTA) ჩატარების პროგრამა, რომელიც შექმნილია პრევენციული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, რაც ეხმარება გარიგების გუნდებს, აუდიტის განხორციელებისას რეალურ დროში შეასრულონ „სწორი სამუშაო“.


RTA პროგრამა ცენტრალიზებულად არის ორგანიზებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დონეზე, რომელიც შერჩევის პროცესში ყველა ტერიტორიას აერთიანებს და მიზნად ისახავს რეგულარულად მოიცვას როგორც მაღალი რისკის შემცველი გარიგებები, ასევე ყველა ხელმოძღვრი.

მიმოხილვას ატარებს RTA გუნდისთვის გამოყოფილი და მაღალკვალიფიციური შემმოწმებლების ჯგუფი. მას ზედამხედველობას უწევს CEE-ს ხარისხის მართვის მთავარი ოფიცერი.

მიმოხილვის პროგრამას აქვს ორდონიანი სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს გარიგებების სრულ მიმოხილვას, რაც მოიცავს აუდიტის ყველა ფაზას, ასევე მიმოხილვებს, რომლის მიზანია აუდიტის კონკრეტული სფეროები, მათ შორის ახალი სტანდარტები ან უფრო მაღალი სირთულის ან რისკის მქონე სფეროები.

განმეორებადი დაკვირვებების და მნიშვნელოვანი ხასიათის მქონე დაკვირვებები კომუნიკაცია ხდება მეთოდოლოგიის ფუნქციის მიერ შესხენებების სახით, ან რისკებისა და ხარისხის მართვის ფორუმებზე გაზიარებული შეტყობინებების სახით, როგორც ტერიტორიულ, ასევე რეგიონულ დონეზე.

აუდიტის გარიგებების შიდა შემოწმებები



გადაანგარიშებები

0

არსებითი შეცდომის გამო ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშების რაოდენობა, რომლებიც უკავშირდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს

მონიტორინგი

ზემოთ აღნიშნული მიმდინარე მონიტორინგის გარდა, ჩვენი მონიტორინგი ასევე მოიცავს ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის პერიოდულ შეფასებას, რაც მოიცავს ჩვენი ფირმის ობიექტური გუნდის მიერ დასრულებული გარიგებების შემოწმებას (გარიგების შესაბამისობის შემოწმება - ECR), ასევე ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის პერიოდულ მონიტორინგს. ამ პროცედურების შედეგები, ჩვენს მიმდინარე მონიტორინგთან ერთად, ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს. ECR-ები ხორციელდება ქსელის მასშტაბით ინსპექტირების პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფუძნებულია პროფესიულ სტანდარტებსა და PwC-ის აუდიტის მეთოდოლოგიაზე.

ECR არის დასრულებული გარიგებების რისკებზე ორიენტირებული მიმოხილვა, რომელიც პერიოდულ საფუძველზე მოიცავს ჩვენს ფირმაში იმ პირებს, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება, ხელი მოაწერონ აუდიტის, არააუდიტორული რწმუნების ან დაკავშირებული მომსახურების დასკვნებს. მიმოხილვა აფასებს, შესრულდა თუ არა გარიგება PwC აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპების, შესაბამისი პროფესიული სტანდარტების და გარიგებასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. თითოეული ხელმოწერილი მოწმდება სულ მცირე ხუთ წელიწადში ერთხელ, თუ უფრო ხშირი შემოწმება არ არის საჭირო აღნიშნული ხელმოწერის კლიენტის გარიგებების პროფილის, ან ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნების საფუძველზე.

მიმოხილვებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი აუდიტის პარტნიორები, რომლებსაც ეხმარებიან პარტნიორების, დირექტორების, უფროსი მენეჯერების და სხვა სპეციალისტების ობიექტური გუნდები. სათანადო ექსპერტიზის ან ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ECR-ის მიმოხილველები PwC-ის სხვა ფირმებიდან იყვნენ მოწვეული. მიმოხილვის ჯგუფები გადიან ტრენინგს, რაც ეხმარება მათ თავიანთი მოვალეობების შესრულებაში და შემოწმების ჩატარებისას, ქსელის დონეზე შემუშავებული კითხვარების და ინსტრუქციების გამოყენებაში. ქსელის მიმოხილვის ჯგუფი ეხმარება მიმოხილვის გუნდებს, გარიგებების შეუსაბამოების კლასიფიკაციისა და გარიგებების შეფასებების შესახებ ქსელის მასშტაბით სახელმძღვანელო პრინციპების თანმიმდევრული გამოყენების მონიტორინგით.

აუდიტის ხარისხის საზომები



- გარე მარეგულირებლების მიერ გარიგების მიმოხილვების საერთო რაოდენობა
- გარიგების მიმოხილვის საერთო რაოდენობა PCAOB-ის მიერ (თუ რელევანტურია)
- სხვა გარე მარეგულირებლების მიერ ისეთი გარიგებების მიმოხილვების რაოდენობა, რომლებიც შეუსაბამო (ან მისი ეკვივალენტის) იყო

გარდა ამისა, PwC ქსელი პერიოდულად ატარებს მიმოხილვებს PwC ფირმების ხარისხის მართვის სისტემის გარკვეული ელემენტების შესაფასებლად. ქსელი ასევე აკვირდება PwC ფირმის ხელმძღვანელობის მიერ მათი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასებას, ასევე იმის შეფასებას, მიღწეულია თუ არა ხარისხის საერთო მიზანი.

შემოწმების შედეგები ეცნობება ფირმის ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხისმგებელია შემოწმების შედეგების ანალიზზე, ინფორმაციის ყველა წყაროდან გამოვლენილ ხარისხის შეუსაბამოებთან ერთად, მიზეზების ძირეული ანალიზის დროულად ჩატარებასა და საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელებაზე. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოვლენილია გარიგებებთან დაკავშირებული ხარისხის უარყოფითი საკითხები, პრობლემების ხასიათისა და გარემოების საფუძველზე, პასუხისმგებელი გარიგების ხელმძღვანელი, ან ჩვენი ფირმის მარწმუნებელი მომსახურების ხელმძღვანელი შეიძლება დაექვემდებაროს დამატებით ტრენინგებს, მენტორობას, ან დამატებით სანქციებს ჩვენი ფირმის აღიარებისა და ანგარიშვალდებულების (RAF) სისტემის შესაბამისად.

ჩვენი ფირმის მარწმუნებელი მომსახურების გარიგების ხელმძღვანელები იღებენ ინფორმაციას ფირმების ქსელის შემოწმების პროგრამის შედეგების შესახებ, რომელიც შექმნილია მათ მიერ შესასრულებელი აუდიტის სამუშაოს ფარგლების შესაფასებლად და კლიენტის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით PwC ფირმების მიერ შესრულებული სამუშაოს სანდოობის შესაფასებლად.

მონიტორინგი

სწავლა: მიზეზების ძირეული ანალიზი

ვატარებთ ანალიზს ჩვენი ფირმის აუდიტის ხარისხზე მომქმედი პოტენციური ფაქტორების გამოსავლენად, რათა შევძლოთ უწყვეტი გაუმჯობესების ზომების მიღება. ასეთი ანალიზის ჩატარებისას ჩვენი მთავარი მიზნებია გავიაზროთ, რას გვეუბნება ეს შეუსაბამოებები ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის შესახებ და დავადგინოთ, თუ როგორ შეუძლია ჩვენს ფირმას უზრუნველყოს ეფექტური გარემო გარიგების გუნდებისთვის ხარისხიანი აუდიტის ჩასატარებლად. განვიხილავთ ხარისხის შეუსაბამოებს ყველა წყაროდან, მათ შორის ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის მიმდინარე მონიტორინგიდან, ასევე ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის ქსელის მასშტაბით შემოწმებიდან, აუდიტებიდან - ხარვეზებით, თუ ხარვეზების გარეშე - იქნება ეს გამოვლენილი ჩვენი შიდა შემოწმების პროცესის მეშვეობით, თუ გარე შემოწმებებით და სხვა მონაცემებით, როგორცაა ჩვენი თანამშრომლების გლობალური გამოკითხვა და ფინანსური ანგარიშგების ხელახალი გადაანგარიშება, თუ საადრიცხო შეცდომები - რათა ხელი შევუწყოთ შესაძლო განსხვავებებისა და სწავლის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას.

ინდივიდუალური აუდიტების შემთხვევაში, მიზეზების ძირეული ანალიზის სპეციალისტების ობიექტური გუნდი ადგენს აუდიტის საერთო ხარისხის ხელშემწყობ პოტენციურ ფაქტორებს. ჩვენ ვითვალისწინებთ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც რელევანტურია ტექნიკურ ცოდნასთან, ზედამხედველობასა და მიმოხილვასთან, პროფესიულ სკეპტიციზმთან, გარიგების რესურსებთან, ასევე ტრენინგთან და სხვა ფაქტორებთან. პოტენციური მიზეზები განისაზღვრება გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეფასებით, ინტერვიუების ჩატარებით და აუდიტის შერჩეული სამუშაო დოკუმენტაციის განხილვით, რათა გამოვავლინოთ ფაქტორები, რომლებმაც გავლენა იქონიეს აუდიტის ხარისხზე.

გარდა ამისა, აუდიტებისთვის შეგროვებული მონაცემები, როგორც გარიგების დონეზე შეუსაბამოებით, ასევე მათ გარეშე, შედარებული და შეპირისპირებულია იმის დასადგენად, შესაბამისობაშია თუ არა გარკვეული ფაქტორები აუდიტის ხარისხთან.

ჩვენი მიზანია გავიგოთ, ხარისხიანი აუდიტები თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს გარიგების დონეზე შეუსაბამოების მქონე აუდიტებისგან და შევავსოთ, თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის გამოყენება თითოეული ჩვენი აუდიტის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. ვაფასებთ ამ ანალიზების შედეგებს, რათა გამოვავლინოთ გაუმჯობესებები, რომელთა განხორციელებაც შეიძლება სასარგებლო იყოს მთელი პრაქტიკისთვის. გვჯერა, რომ ამგვარი ანალიზი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ხარისხის მართვის მუდმივ ეფექტურობას.

ჩვენი მიზეზების ძირეული ანალიზი ხორციელდება არა მხოლოდ გარე (ძირითადად მარეგულირებელის, თუ მოცემული წლისათვის განხორციელდა) და შიდა დასრულებული მიმოხილვის შედეგებისთვის. ჩვენ ასევე ვახორციელებთ მიზეზების ძირეულ ანალიზს, თუ რა საკითხებია აღმოჩენილი რეალურ დროში მარწმუნებელი მომსახურების და ჩვენი ხარისხის მართვის სისტემის ტესტირების დროს. ამის შემდეგ, მარწმუნებელი მიმართულების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინსტრუქციების, კომუნიკაციის, ტრენინგის და ა.შ. განახლებაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული მსგავსი საკითხები მომავალში.





PwC ქსელი

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

PwC ქსელი

PriceWaterhouseCoopers International Limited

PwC არის ბრენდი, რომლის სახელწოდებითაც ოპერირებენ და პროფესიონალურ მომსახურებას სთავაზობენ PricewaterhouseCoopers International Limited-ის (PwCIL) წევრი ფირმები. ერთად, ეს ფირმები ქმნიან PwC ქსელს. „PwC“ ხშირად გამოიყენება PwC ქსელის ფარგლებში ცალკეული ფირმების, ან რამდენიმე ან ყველა მათგანის ერთობლივად აღსანიშნავად.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და შესაბამისი კანონმდებლობით, ბუღალტრული აღრიცხვის ფირმები ვალდებული არიან იყვნენ დამოუკიდებელი და რეგისტრირებული ადგილობრივად. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მარეგულირებელი ორგანოების დამოკიდებულება იცვლება, PwC-ის წევრი ფირმები ამჟამად არ მოქმედებენ და არ შეუძლიათ ოპერირება, როგორც მულტინაციონალურ კორპორაციას. PwC-ის ქსელი არ არის გლობალური პარტნიორობა, ერთი ფირმა ან მულტინაციონალური კორპორაცია.

ამ მიზეზების გამო, PwC ქსელი შედგება ცალკეული იურიდიული პირებისგან. ქსელის შემადგენელი ფირმები ვალდებული არიან იმუშაონ ერთად, რათა მთელი მსოფლიოს მასშტაბით კლიენტებს მაღალი ხარისხის მომსახურება შესთავაზონ. PwC ქსელის ფირმები არიან ინგლისური, გარანტირებული კაპიტალით შეზღუდული კერძო კომპანიის PricewaterhouseCoopers International Limited (PwCIL) წევრები, ან გააჩნიათ მასთან სხვაგვარი კავშირი. PwCIL არ ახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას და არ სთავაზობს კლიენტებს მომსახურებას. მისი მიზანია PwC ქსელის წევრ ფირმებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობა. PwCIL-ის ქსელის ხელმძღვანელობის გუნდი და საბჭო, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ძირითად სფეროებზე, როგორიცაა სტრატეგია, ბრენდი, რისკი და ხარისხი, კოორდინაციას უწევენ პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებას, რათა საჭიროების შემთხვევაში, მიაღწიონ საერთო და კოორდინირებულ მიდგომას PwC-ის ცალკეულ ფირმებს შორის. PwCIL-ის წევრ ფირმებს შეუძლიათ გამოიყენონ PwC-ის სახელი, PwC ქსელის რესურსები და მეთოდოლოგიები. გარდა ამისა, წევრ ფირმებს შეუძლიათ მოითხოვონ სხვა წევრი ფირმების რესურსები და/ან უზრუნველყონ პროფესიული მომსახურების გაწევა სხვა წევრი ფირმების და/ან სხვა საწარმოების მიერ. ამის სანაცვლოდ, წევრი ფირმები ვალდებული არიან დაიცვან გარკვეული საერთო პოლიტიკა და დაიცვან PwCIL-ის მიერ შემოთავაზებული PwC ქსელის სტანდარტები.

PwC ქსელი არ წარმოადგენს ერთ საერთაშორისო პარტნიორობას და PwC-ის წევრი ფირმები სხვაგვარად არ წარმოადგენენ ერთმანეთის იურიდიულ პარტნიორებს. წევრი ფირმების უმეტესობას აქვს იურიდიულად რეგისტრირებული სახელწოდება, რომელიც შეიცავს „PricewaterhouseCoopers“-ს, თუმცა PwCIL-ს არ აქვს მფლობელობის უფლება. წევრ ფირმას არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც PwCIL-ის ან სხვა წევრი ფირმის აგენტმა, არ შეუძლია დაავალდებულოს PwCIL ან სხვა წევრი ფირმა და პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე ან უმოქმედობაზე და არა PwCIL-ის ან სხვა PwC ფირმის ქმედებებზე და უმოქმედობაზე. ანალოგიურად, PwCIL-ს არ შეუძლია იმოქმედოს, როგორც რომელიმე წევრი ფირმის აგენტმა, არ შეუძლია დაავალდებულოს რომელიმე წევრი ფირმა და პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ ქმედებებზე ან უმოქმედობაზე.

PwCIL-ის მმართველობის ორგანოები

გლობალური საბჭო - პასუხისმგებელია PwCIL-ის მართვაზე, ქსელის ლიდერთა გუნდის ზედამხედველობაზე და ქსელის სტანდარტების დამტკიცებაზე. საბჭოს არ აქვს გარე როლი. საბჭო შედგება PwC ფირმებიდან არჩეული პარტნიორებისგან და ერთი ან მეტი გარე, დამოუკიდებელი დირექტორისგან. გთხოვთ, ეწვიოთ PwC Global-ის ვებგვერდს გლობალური საბჭოს ამჟამინდელი წევრების ჩამონათვალის სანახავად.

ქსელის ლიდერთა გუნდი - პასუხისმგებელია PwC-ის ქსელის საერთო სტრატეგიისა და სტანდარტების განსაზღვრაზე, რომელთა დაცვაზეც თანხმდებიან PwC ფირმები.

სტრატეგიის საბჭო - შედგება PwC-ის უმსხვილესი ფირმებისა და ქსელის რეგიონების ლიდერებისგან, თანხმდება ქსელის სტრატეგიულ მიმართულებაზე და ხელს უწყობს სტრატეგიის განხორციელების შესაბამისობას.

გლობალურ ლიდერთა გუნდი - ინიშნება ქსელის ლიდერთა გუნდის და PwC ქსელის თავმჯდომარის მიერ და მათთან არის ანგარიშვალდებული. მისი წევრები პასუხისმგებელი არიან PwC ფირმებისგან შედგენილ წამყვანი გუნდების ხელმძღვანელობაზე, რათა კოორდინაცია გაუწიონ ჩვენი ბიზნესის ყველა სფეროს აქტივობას.

CEE-ს მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ადამ კრასონი წარმოადგენს PwC CEE-ის სტრატეგიის საბჭოში და კოორდინაციას უწევს ჩვენს ურთიერთობას ქსელის ლიდერთა გუნდთან.



სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურა

ხელმძღვანელობის
გზავნილი

ჩვენი
ხარისხისადმი
მიდგომა

კულტურა და
ღირებულებები

ჩვენი
თანამშრომლები

ჩვენი
მიდგომა

მონიტორინგი

PwC ქსელი

სამართლებრივი და
მმართველობითი
სტრუქტურა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი

ჩვენს რეგიონში ადგილობრივი და საერთაშორისო კლიენტებისთვის მომსახურების გაწევის მიზნით, PwC საქართველო თანამშრომლობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) სხვა PwC ფირმებთან. PwC, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ორგანიზებულია როგორც ჯგუფი, რომლისთვისაც PricewaterhouseCoopers Eastern Europe B.V. მოქმედებს როგორც ჰოლდინგური დედაკომპანია, რომელიც ფლობს წილებს სხვა CEE PwC ფირმებში. PricewaterhouseCoopers Eastern Europe B.V. -ის მესაკუთრე არის PricewaterhouseCoopers EE Holdings BV-ს. PricewaterhouseCoopers EE Holdings BV-ს აკონტროლებს 268 პარტნიორის მიერ მართული Stichting PricewaterhouseCoopers EE, (ჰოლანდიური ფონდი), სადაც ყველა პარტნიორს თანაბარი უფლება აქვს.

ეს თანამშრომლობა ორგანიზებულია რეგიონული მართვის გუნდის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ფირმების შესაბამისობას PwC International-ის პოლიტიკისა და პროცედურებისადმი, გარდა ამისა, რესურსების გაზიარების, რისკის მართვის პოლიტიკისა და ხარისხის სტანდარტების დაცვის საშუალებას იძლევა.

თითოეულ PwC ფირმას ადგილობრივ დონეზე, ასევე აქვს საკუთარი მართვის სტრუქტურა, ადგილობრივი სამართლებრივი თუ ოპერაციული მოთხოვნების შესაბამისად. ეს სამართლებრივი სტრუქტურა და ქსელის დონეზე შეთანხმებული თითოეულ წევრ ფირმას აძლევს მოქნილობას და ავტონომიას სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს ზოგიერთი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ აუდიტორულ ფირმაში ადგილობრივი კვალიფიციური და/ან სერტიფიცირებული აუდიტორების (ან ევროკავშირში - აუდიტორთა გაერთიანების და ან ევროკავშირის აუდიტორული ფირმების ერთობლიობის) მიერ წილობრივი მონაწილეობის და კონტროლის შესახებ მოთხოვნას.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მოქმედებს მართვის მატრიცული სისტემა. თითოეული პარტნიორი ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევს PwC CEE-ის აღმასრულებელ დირექტორს, რომელიც ნიშნავს რეგიონულ მმართველთა საბჭოს. ეს უკანასკნელი მოიცავს გეოგრაფიული და ბიზნეს მიმართულებების წარმომადგენლებს და ოპერაციულ ლიდერებს. აღნიშნული მმართველთა საბჭო პასუხისმგებელია ბიზნეს მიზნების დასახვაზე და PwC International-ის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე.

გეოგრაფიული მიმართულების მიხედვით, თითოეული ძირითადი ბიზნეს მიმართულების (მარწმუნებელი, საგადასახადო, იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება) პოლიტიკასა და ბიზნეს მიზნებს განსაზღვრავს ბიზნეს მიმართულების მართვის გუნდი.

პარტნიორების სახელით რეგიონული მმართველთა საბჭოს ზედამხედველობას ახორციელებს არჩეული რეგიონული პარტნიორთა საბჭო, რომელიც ამტკიცებს ძირითად პოლიტიკას და იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პარტნიორებსა და ფირმაზე.



PwC საქართველოს სამართლებრივი და მმართველობითი სტრუქტურა

PwC საქართველოს სამართლებრივი სტრუქტურა და მფლობელობა

PwC საქართველო არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის 100%-იანი მფლობელია უნგრეთში რეგისტრირებული შპს PricewaterhouseCoopers Auditing. ამ ორგანიზაციის საბოლოო ბენეფიციარები არიან PricewaterhouseCoopers-ის ფირმების პარტნიორები. PwC საქართველო არის PricewaterhouseCoopers International Limited-ის წევრი.

PwC საქართველოს მმართველობითი სტრუქტურა

PwC საქართველო იმართება მმართველთა საბჭოს მიერ, რომელიც შედგება აქციონერთა საერთო კრების მიერ დანიშნული 2 დირექტორისგან. საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის მართვასა და წარმომადგენლობაზე.

პარტნიორების ანაზღაურება


პარტნიორები ანაზღაურებას იღებენ ფირმის მოგებიდან და პირადად არიან პასუხისმგებელნი პენსიებისა და სხვა ბენეფიტების, მაგალითად, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე. პარტნიორის ანაზღაურება ეფუძნება პარტნიორის მიერ ფირმაში შეტანილ წვლილს წლის განმავლობაში და ფირმის ყოველწლიური აუდიტის დასრულებას. განაწილებას განიხილავს და ამტკიცებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორთა საბჭო. თითოეული პარტნიორის ანაზღაურება ეფუძნება მათ პასუხისმგებლობას, ხოლო წილობრივი მონაწილეობა განაწილება მატრიცის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს პარტნიორის ამჟამინდელ როლს ფირმაში. ასევე არსებობს ცვლადი ანაზღაურება (შედეგების ელემენტი), რომელიც ასახავს, თუ როგორ ასრულებენ სამუშაოს პარტნიორი და მისი გუნდები მოცემულ წელს. ეს განისაზღვრება პარტნიორის მიღწევების შეფასებით, პარტნიორის როლის მიხედვით, მიზნების ინდივიდუალურად მორგებულ დაბალანსებულ მაჩვენებლების ცხრილთან შედარებით.

პარტნიორის შეფასებისა და კომპენსირების პროცესი სრულად შეესაბამება IESBA-ს პროფესიონალი ბუღალტერების ეთიკის კოდექსის დამოუკიდებლობის მოთხოვნებს, რომელიც არ იძლევა პარტნიორის შეფასების ან ანაზღაურების უფლებას საკუთარი აუდიტის კლიენტებისთვის არამარწმუნებელი მომსახურების მიყიდვაზე დაყრდნობით. ეს მიზნები მოიცავს ფირმის აუდიტის ხარისხის სტანდარტების რეალიზებასა და ჩვენი კეთილსინდისიერების და დამოუკიდებლობის რეგულაციების აბსოლუტურ დაცვას.



2025 წლის 30 ივნისს დასრულებული წლის ფინანსური ინფორმაცია

შემოსავლები (არააუდირებული)	ათასი აშშ დოლარი
სდკ-ების და იმ საწარმოთა ჯგუფში შემაველი საწარმოების წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კანონით სავალდებულო აუდიტი, რომელთა მშობელი საწარმო საზოგადოებრივი დაინტერესების პირია	2,227
სხვა საწარმოების წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კანონით სავალდებულო აუდიტი	2,563
აუდიტიდან შემოსავლების ჯამი	4,790
აუდირებული საწარმოებისთვის დასაშვები არააუდიტორული მომსახურება	442
სხვა საწარმოებისთვის გაწეული არაუდიტორული მომსახურება	3,977
შემოსავლები სულ	9,209





დანართი

აუდირებული
საზოგადოებრივი
დაინტერესების პირების
ჩამონათვალი

დანართი 1

2025 წლის 30 ივნისით დასრულებული წლის განმავლობაში კანონით სავალდებულო მიზნებისთვის აუდირებული საზოგადოებრივი დაინტერესების პირი კლიენტების ჩამონათვალი:

- სს თიბისი ბანკი
- სს თიბისი დაზღვევა
- სს იშბანკი საქართველო
- სს საქართველოს კაპიტალი
- შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
- შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია
- სს საქართველოს რკინიგზა
- შპს სელფი მობაილი
- შპს ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი

2

დანართი

PwC ქსელის ფირმები

დანართი 2

ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი სახელმწიფოების PwC ქსელის წევრების მიერ წლიური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კანონით სავალდებულო აუდიტის განხორციელების შედეგად მიღებული მთლიანი ბრუნვა, რომელიც გამოთვლილია მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტით, დაახლოებით **3,0 მილიარდ** ევროს შეადგენს. აღნიშნული წარმოადგენს თითოეული საწარმოს ბოლო ფინანსური წლის ბრუნვას, რომელიც ევროში გადაყვანილია 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მოქმედი გაცვლითი კურსით.

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია თითოეული კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორის სახელი, რომელიც მოქმედებს როგორც ინდივიდუალური პრაქტიკოსი ან აუდიტორული ფირმა და რომელიც არის PwC ქსელის წევრი ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის წევრი სახელმწიფოებიდან 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ის ქვეყნები, სადაც თითოეული კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორი, რომელიც მოქმედებს როგორც ინდივიდუალური პრაქტიკოსი ან აუდიტორული ფირმა, და რომელიც არის PwC ქსელის წევრი, კვალიფიცირებულია როგორც კანონით სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორი ან აქვს თავისი იურიდიული მისამართი, ცენტრალური ადმინისტრაცია, ან ძირითადი საქმიანობის ადგილი.



წევრი სახელმწიფო

ფირმის დასახელება

ავსტრია	PwC Wirtschaftsprüfung GmbH, Wien
ავსტრია	PwC Wirtschaftsprüfungs- und Steuerberatungsgesellschaft GmbH, Linz
ავსტრია	PwC Tax & Audit Services Wirtschaftsprüfung und Steuerberatung GmbH, Graz
ავსტრია	PwC Österreich GmbH, Wien
ბელგია	PwC Bedrijfsrevisoren bv/Reviseurs d'entreprises srl
ბულგარეთი	PricewaterhouseCoopers Audit OOD
ხორვატია	PricewaterhouseCoopers d.o.o
ხორვატია	PricewaterhouseCoopers Savjetovanje d.o.o
კვიპროსი	PricewaterhouseCoopers Limited
ჩეხეთის რესპუბლიკა	PricewaterhouseCoopers Audit s.r.o.
დანია	PricewaterhouseCoopers Statsautoriseret Revisionspartnerselskab
ესტონეთი	AS PricewaterhouseCoopers
ფინეთი	PricewaterhouseCoopers Oy
საფრანგეთი	PricewaterhouseCoopers Audit
საფრანგეთი	PricewaterhouseCoopers France
საფრანგეთი	M. Antoine Priollaud
გერმანია	PricewaterhouseCoopers GmbH Wirtschaftsprüfungsgesellschaft

დანართი 2



წევრი სახელმწიფო

ფირმის დასახელება

გერმანია	Wibera Wirtschaftsberatung Aktiengesellschaft Wirtschaftsprüfungsgesellschaft
საბერძნეთი	PricewaterhouseCoopers Auditing Company SA
უნგრეთი	PricewaterhouseCoopers Könyvvizsgáló Kft.
ისლანდია	PricewaterhouseCoopers ehf
ირლანდია	PricewaterhouseCoopers
ირლანდია	PricewaterhouseCoopers (Northern Ireland) LLP
იტალია	PricewaterhouseCoopers Spa
ლატვია	PricewaterhouseCoopers SIA
ლიხტენშტეინი	PricewaterhouseCoopers GmbH, Ruggell
ლიეტუვა	PricewaterhouseCoopers UAB
ლუქსემბურგი	PricewaterhouseCoopers, Société coopérative
მალტა	PricewaterhouseCoopers
ნიდერლანდები	PricewaterhouseCoopers Accountants N.V.
ნორვეგია	PricewaterhouseCoopers AS
ნორვეგია	PwC Assurance AS
ნორვეგია	PwC Assurance II AS
პოლონეთი	PricewaterhouseCoopers Polska sp. z. o.o.
პოლონეთი	PricewaterhouseCoopers Polska spółka z ograniczoną odpowiedzialnością Audyt sp. k.
პორტუგალია	PricewaterhouseCoopers & Associados - Sociedade de Revisores Oficiais de Contas, Lda
რუმინეთი	PricewaterhouseCoopers Audit S.R.L.
სლოვაკეთი	PricewaterhouseCoopers Slovensko, s.r.o.
სლოვენია	PricewaterhouseCoopers d.o.o.
ესპანეთი	PricewaterhouseCoopers Auditores, S.L.
შვედეთი	PricewaterhouseCoopers AB
შვედეთი	Öhrlings PricewaterhouseCoopers AB

დიდი მადლობა!